ერისა და სამშობლოს გადასარჩენად!

ჩემო თანამცხოვრებნო, მამულის შვილნო, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნო, ერთი სათხოვარი მაქვს ყველას მიმართ: ეყოფა უაზროდ სისხლის ღვრა ჩვენს ერს, ეყოფა ის მოუშუშებელი ჭრილობა, რაც მივაყენეთ ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ერს, ჩვენს დიდებულ წინაპართა ხსოვნას. ჩააგდეთ მახვილი ქარქაშში, ნუღარ დაღვრით ძმათა, ნათესავთა, მოყვასთა, ბავშვთა სისხლს...

როცა წარმოვიდგენ საზარელ სურათებს იმ უბედურებისას, რაც მოხდა მშვენიერ კუთხეში — აფხაზეთში, წარმოვიდგენ იმ წამების გზას, რომელზეც ახლაც მოდიან საკუთარი ბუდიდან აყრილნი, უმაგალითო წამებით გაწამებულნი სვანეთის გზით სიცოცხლის შესანარჩუნებლად დედები, რომელთაც შვილები ეღუპებათ სიცივისა და შიმშილისაგან, წარმოვიდგენ მოხუცებულთ, რომელნიც წყალსა და ტალახში სიარულით ღონეგამოცლილნი სულსა ღაფავენ, როცა ვისმენ, თუ რა წამებით მოდიან ორსული ქალები თავიანთი და მომავალი თაობის გადასარჩენად, როცა ვიგებ, რომ დედებთან ერთად ახალშობილნიც იღუპებიან, აღმომხდება ხოლმე გმინვა და ვფიქრობ: ვილასთვის გვინდა ჩვენი ქვეყანა, ვილასთვის გვინდა მამული, ვინღა შერჩება ჩვენს სამშობლოს?

როგორ შეიძლება ისე დაიშრიტოს გული, ისე დაობდეს ტვინი და მოიშალოს აზროვნება, რომ აღარ დაფიქრდეს იმაზე, თუ როგორი იქნება მომავალი საქართველოსი?

რა სატანური ძალა ამოქმედებს სამშობლოს დამქცევს, რა ბოროტი სული ხელმძღვანელობს ადამიანს, რომელიც ხელს აღმართავს თავისი ძმის, ნათესავის, მეზობლის მოსასპობად, ლტოლვილთათვის გზის შესაკრავად და ბუდედანგრეული ადამიანისათვის უარესი გასაჭირის მისაყენებლად! ასეთი რამ მხოლოდ ტვინშერყეულსა და ბოროტება-სიძულვილის ჭურჭელს მოუვა აზრად.

როდემდის უნდა ბატონობდეს ბოროტი სული, როდემდის უნდა სძალავდეს დემონი იმ კაცს, რომელიც დაჭირავებულ მკვლელს შემოუძღვება თავის სამშობლოში თავისივე ერის სიცოცხლის დასაშრეტად? სად არის ზღვარი განდიდებისაკენ სვლისა, რაზე გაჩერდება გულღრძო წადილი ისტორიული ერის მოსპობისა, დიდისა და პატარის ხოცვისა და წამებისა?

მოთმინების ფიალა ლიცლიცებს. შეუძლებელია მეტისატანა, შეუძლებელია ცდა, რადგან ყოველ წუთს, საათს მიაქვს ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილთა სიცოცხლე, ჩვილ ბავშვთა უმანკო სული, თავზე სახლდანგრეული და ბედდამწვარი მოხუცი ადამიანების არსებობა.

ქართველნო, ჩემო დანო და ძმანო, აჭარელნო და იმერელნო, შევუტრიალდეთ ჩვენს დამღუპველ აბობოქრებულ ბოროტ ზრახვებს, ამოვშანთოთ თავზარდამცემი ზრუნვანი შინაურ და გარეშე გულღრძოთა, განვთავისუფლდეთ უაზრო ამბიციურობისაგან, დავფიქრდეთ საქართველოს მომავალზე, ქართველი ერის მთლიანობაზე, ჩვენი სამშობლოს ხვალინდელ დღეზე, რათა არ ჩავიდეს ჩვენი მზე, არ დავრჩეთ სიბნელესა და ყინვაში, არ გადაშენდეს საჩვენო მიწიერი არსებობა და საუკუნოდ საწყევრად არ გავუხადოთ საქმე საქართველოს და ქართველთა შთამომავლობას.

რაც შეეხება გარდაცვლილ შვილთა სურათებით მროკავ დედას, მასზე ვიტყვი, რომ ძლიერ დაცილებულია იგი უბრალო და მარტივ ადამიანურ განცდებს და ფსიქიკურ აშლილობას მინებებია. არც გამიგონია და არც წამიკითხავს თუ არსებობს ასეთი ჩვეულება სადმე. იგი ნამდვილად ახალი შენაძენია და შედეგია იმ საერთო სულიერი სილატაკისა, რაც ახე იჩენს თავს ამ ორი თუ სამი წლის განმავლობაში.

ვაჟა-ფშაველას გულისტკივილს გავიხსენებ:

გაღმა გასვლისა მსურველთა
უკუღმა მიგვყავს ბორანი...

იგივე ვაჟა-ფშაველა იტყოდა:

ერი თუ მტრის მძლეველია,
მას მეტი არა უნდა რა.

შევატრიალოთ წაღმა ჩვენი ბედის ბორანი და მტერიც ვძლიოთ ჩვენი ერისა და სამშობლოს გადასარჩენად.

სოლომონ ხუციშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 222 (750) შაბათი, 9 ოქტომბერი, 1993 წელი. ფასი 100 კუპონი.

არიქა, ტახტი, ტახტი უნდა „მესიას“!—მოღალატის გესლითა და მახვილით რომ მოგვადგა და ცხენისწყალი სისხლისწყლად გვიქცია.

ზარბაზნებს გვიშენს, სამოქალაქო ომს გვიწყებს ბეჩავი ქართველი, გვინგრევს, გვინადგურებს სოფლებს, გვიხოცავს უმწეო ბავშვებსა და ქალებს სამტრედიასა თუ ფოთში—თეთრი ბედაურით შემოსვლა განუზრახავს ქუთაისსა და თბილისში!

—რა ეკუთვნის სამშობლოში ომისა და სიკვდილის მთესველს, ქართველებო?

—მხოლოდ მახვილი!

პირველი სვეტი

დაპირისპირება გრძელდება

დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში კვლავ დაძაბული ვითარებაა. ოზურგეთის რაიონის ადმინისტრაციის მეთაურის მოადგილემ ავთანდილ ღლონტმა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თქვა, რომ 7 ოქტომბერს მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლები სამთავრობო ჯარებსა და გამსახურდიას მომხრე შეიარაღებულ ფორმირებათა რაზმებს შორის. მან თქვა, რომ სამთავრობო ჯარებმა კონტროლი დაუწესეს სოფელ გრიგოლეთსა და იქ მდებარე სპორტულ ბაზას, სადაც წინათ განლაგებული იყო მთავრობის საწინააღმდეგო ფორმირებათა შტაბი, და მჭიდროდ მიუახლოვდნენ ქალაქ ფოთის გარეუბნებს, რომელსაც აკონტროლებენ ლოთი ქობალიას რაზმები.

კვლავ დაძაბული სიტუაციაა მდინარე ცხენისწყალთან, სადაც ახლაც გადის დაპირისპირების ხაზი. სამტრედიაში დისლოცირებული სამთავრობო ჯარების ოპერატიული შტაბიდან საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, რომ 7 ოქტომბერს საღამოს და ღამით გრძელდებოდა ბრძოლა მდინარე ცხენისწყალთან, დაპირისპირებული მხარის მიერ ნასროლი მთელი რიგი ჭურვები აფეთქდა ქალაქ სამტრედიის გარეუბანში მდებარე საცხოვრებელ უბნებში. მშვიდობიან მოსახლეობაში არიან დაშავებულები, დაზიანდა მთელი რიგი საცხოვრებელი შენობები. დაშავებულები არიან აგრეთვე აბაშის რაიონის იმ სოფლებშიც, რომლებიც მდინარე ცხენისწყლის უშუალო სიახლოვეს მდებარეობენ.

• • •

სამტრედია. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ინსპექტორმა ზაზა ბოლოხოძემ საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა, რომ 8 ოქტომბერს დილის 8 საათზე ქობალიას შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა შორსმსროლელი არტილერიის ჭურვები დაუშინეს ქალაქს — ხე-ტყის დამამუშავებელ კომბინატს და საცხოვრებელ სახლებს, რის შედეგადაც დაიჭრა ერთი მანდილოსანი.

ცხენისწყლის იქითა მხრიდან ქობალიას დაჯგუფებები ტანკებიდან ცეცხლს უშენდნენ მდინარის პირას განლაგებულ საცხოვრებელ სახლებს.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ოთხმხრივი მოლაპარაკება მოსკოვში

8 ოქტომბერს, დღის 13 საათზე კრემლში დაიწყო რუსეთის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოთა მეთაურების ოთხმხრივი მოლაპარაკება. რუსეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ პრეზიდენტი ბორის ელცინი, პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი, საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია კოზირევი და თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი.

მხარეებმა გამოთქვეს შეშფოთება იმის გამო, რომ რთულია სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია ამიერკავკასიაში გამავალი რკინიგზის მაგისტრალის მნიშვნელოვან ნაწილზე, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საარსებო პირობების უზრუნველყოფას. საუბარი შეეხო ფოთი-თბილის-ერევან-ბაქოს რკინიგზის დაცვისა და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესაძლო ერთობლივ ღონისძიებებს. შეიმუშავეს სამმხრივი შეთანხმების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს რეგიონში ვითარების სრულ ნორმალიზაციამდე ასეთ ღონისძიებათა განხორციელებას.

როგორც მოლაპარაკების შემდეგ სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა განაცხადა, შესაძლოა, მხარეებმა გამოჰყონ თავიანთი სამხედრო ფორმირებანი, რომლებიც გააცილებენ რკინიგზის შემადგენლობებს. მან და აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა კმაყოფილება გამოთქვეს გამართული მოლაპარაკების გამო. წარმატება უწოდეს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოთა მეთაურების მოსკოვში შეხვედრის თვით ფაქტს.

შემდეგ გაიმართა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის პირისპირ შეხვედრა.

ამის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაციისთვის საჭიროა არა მარტო ამიერკავკასიის რესპუბლიკების, არამედ რუსეთისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა წევრი ქვეყნების კოლექტიური ძალისხმევა. სწორედ ამიტომ, თქვა მან, მივიღე გადაწყვეტილება კიდეც ამ თანამეგობრობაში საქართველოს შესვლის შესახებ. დღესვე გაიმართება კონსულტაციები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა მეთაურებთან, რომელთა დროს განვიხილავთ კოლექტიური უშიშროების საკითხებსაც. ჩვენ მოვითათბირებთ, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, თუ როგორ გამოვიდეთ შექმნილი კრიზისიდან, დავსახავთ თანამშრომლობის ფორმებსა და მეთოდებს.

სურათზე: ოთხმხრივი შეხვედრის დროს.

სერგო ედიშერაშვილის ტელეფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მწვერვალიდან უფსკრულში დაშვების სიმწარე

...ცუდ ჩვევად გვექცა ჟურნალისტებს, ფსიქოლოგს მაშინ მივაკითხავთ ხოლმე, როცა უბედურების თავიდან აცილების ასი შანსიდან ოთხმოცდაცხრამეტი თუ არა, ოთხმოცდაათი მაინც დაკარგულია, როცა ამოტრიალებული ურმის თვლების უფუნქციო ტრიალი შეგვახსენებს, რომ სიცოცხლე ზვალაც გრძელდება, არადა ფსიქოლოგს, როგორც ექიმს, ისე უნდა ეჭიროს ერის მაჯა და მალიმალ პულსაციას უსინჯავდეს საზოგადოებას...

რა მოხდა? რატომ მოხდა? — სულმოუთქმელად ვითხოვთ ხოლმე უბედურებაგამოვლილნი ანალიზსა და რჩევებს ფსიქოლოგისგან... ასე იყო ამჯერადაც, — ბოლო დროს თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარებული ტრაგიკული მოვლენებისგან გაოგნებულმა მოვიძიე ბატონი რამაზი, — ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** და ეს საუბარიც მინდა გაურკვევლობაში სიცხადის შეტანის, ადამიანური თანადგომის მცდელობად ჩამითვალოთ...

— ბატონო რამაზ, დღეს ხშირად გაისმის შეკითხვა: — რატომ ვერ გავითავისეთ აფხაზეთის ომი ქართველებმა, მე მინდა ცოტა სხვაგვარად გკითხოთ, — რატომ უნდა მომხდარიყო ამ ომის გათავისება?

— არ ვიქნები მორალური. მართალი, თუ იმ ტონით გიპასუხებთ, რომ ჩემი პირით ჭეშმარიტება ლაღადებს, მე მოგახსენებთ ჩემს აზრს, რომელსაც სიზუსტის პრეტენზია არა აქვს.

დღეს უნიკალური სოციალური ლაბორატორიის პირობებში ვიმყოფებით, თუ შეიძლება ასეთი აკადემიური სახელი დაერქვას იმ საშინელებებს, რაც ჩვენს თავზე ტრიალებს. ამ უნიკალური მომენტისათვის მოუმზადებელი ვიყავით ჩვენი დაუდევრობითა და მართვის მექანიზმების უკულტურობით. ხშირად გვავიწყდებოდა, რომ საზოგადოებასაც ისევე ესაჭიროება, ჰუმანიტარული დარგებისაგან მეცნიერული გაანგარიშება იმისათვის, რომ კატასტროფისას არ დაიმალოს, როგორც კაშხალს, რომლის მშენებლობასაც მეცნიერული გაანგარიშების გარეშე არ ვიწყებთ ხოლმე...

მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. აფხაზური პრობლემა დიდი ხანია არსებობს, ჩვენს სახელმწიფოს ამ პრობლემისადმი ჩამოყალიბებული პოზიცია არ ჰქონია. ესეც მართვის კულტურის დეფიციტის მაჩვენებელია... ეს უკულტურობა გასაგებია, მაგრამ არა მისაღები... რუსეთის მეთვალყურეობის დროს, როცა მართვის სადავეები სხვას ეპყრა, ამ კუთხით არაფერი შეგვიძენია, გაბატონდა განცდა, რომ სახელმწიფო სხვისია, რომ „სახელმწიფო“ სხვა ცნებაა და არა ის, რასაც სამშობლო ჰქვია... ამიტომაც სახელმწიფოს ტკივილი ჩვენი ტკივილი არ არის, მისი საქმე ჩვენი საქმე არ შეიძლება იყოს... ეს არის ალბათ ის ნიუანსი, რომელმაც შეიძლება გახსნას ჩვენი გულგრილობა აფხაზური პრობლემის მიმართ.

ძნელია იყო კრიტიკული, როცა ფონად ომია ქვეყანაში, ძნელია რაღაც ახალი ბრალდებები ჩამოარიგო; არც ისაა დასავიწყებელი, რომ ამ ბოლო ორ-სამ წელიწადში ქართველებმა სოლიდური დაცემა განვიცადეთ, იმ სიამაყიდან, რომ ჩვენ ყველაზე კარგი ერი ვართ მსოფლიოში, მეორე უკიდურესობაში აღმოვჩნდით, — აი თურმე ვინ ვყოფილვართ. ეს არაა ფსიქოლოგიურად ადვილი გადასატანი. როცა სახელმწიფოში ომია, კრიტიკა ჰირსმეთქი, გითხარით, ჰირს, რადგან ვიღაცას გულს ატკენ და გულატკივებულმა კაცმა მერე როგორ უნდა იბრძოლოს.

თუ ამ ომში საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ათი პროცენტი მონაწილეობდა, როგორც ამბობენ, მე ეს ათი პროცენტი გამკვირვებია და არა დარჩენილი ოთხმოცდაათი. იმ ბიჭებმა, გუშინ რომ უზრუნველად ცხოვრობდნენ, იარაღს რომ მოჰკიდეს ხელი და სიკვდილს არ შეუშინდნენ, ეს იყო ჩემთვის მოულოდნელი და გასაოცარი...

ომი და ჩვენ

ვიცოდით რაც ხდებოდა აფხაზეთში, და მაინც არ ყოფილა შესაბამისი იდეოლოგიის გატარების მცდელობა მცირე ერების მიმართ. იყო ორი უკიდურესობა, ან ის, რომ ეს მცირე ერები ჩვენი ძმები არიან და არავითარი დიფერენციაცია არ არსებობს, ან ის, რომ გაუმარჯოს მხოლოდ ქართველების საქართველოს. ჭეშმარიტება კი, როგორც ყოველთვის, შუაში იდო. საქართველო გზების გასაყარზე მყოფი ქვეყანაა და ბუნებრივია ემიგრანტებსაც ვერ ასცდებოდა. ასეც იყო ისტორიულად, ის მცირე ერები, რომლებიც დღეს საქართველოში ცხოვრობენ — ემიგრანტები არიან; ემიგრანტობა არ არის გინება, საიათნოვაც ემიგრანტი იყო, საქართველოზე მომღერალი და საქართველოსთვის ხმლით აკუწული... ჩვენი ბრალი ისაა, რომ წლების მანძილზე ამ ეთნიკურ ჯგუფებს მხოლოდ სტუმარ-მასპინძლობის პოზიციიდან ვესაუბრებოდით. სტუმარი თუ უკადრებელსაც კადრულობდა, ჩვენ პოზიციას ჯიუტად არ ვიცვლიდით... ასე მივედით ტრაგიკულ შედეგებამდე. თუ დანაშაულია ყველა იმ ეთნიკური ჯგუფის მექანიკური უარყოფა, რომელიც ემიგრაციის გზით მოხვდა საქართველოში, ასევე საკუთარი ერის მიმართ დანაშაულია მათი მექანიკური მიღება. ამ ხალხების მიმართ მკაფიოდ უნდა დასმულიყო და აწი მაინც უნდა დაისვას ერთი მოთხოვნა, — საქართველოს წინააღმდეგ გატარებული პოლიტიკა უმკაცრესად დაისაჯოს. ე. ი. ურთიერთობის ამოსავალი უნდა იყოს არა ის, რომ ის სტუმარია, არამედ თუ რა პოლიტიკას ატარებს რეალურად იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც თავის დროზე შეიფარა. ასე არ ყოფილა არც ოსეთში, არც აფხაზეთში. ამიტომაც მივიღეთ ის, რასაც საუკუნეების მანძილზე ვღებულობდით; — ჩრდილო კავკასიიდან მომავალ მიგრაციულ ტალღას თან სისხლი მოჰქონდა.

მთაში მცხოვრებ ხალხს რომ ბარად უნდა ჩამოსვლა, ეს ბუნებრივი სურვილია, ამიტომაც საუკუნეების წინ ჩამოვიდა ის ტომი, რომელსაც აფხაზეთი დავარქვით და აი, ორიოდე კვირის წინ ჩამოვიდნენ მათი მონათესავე ტომები. თავის დროზე რომ უგულებელვყავით ეს ფაქტი, ამიტომაც აღმოვჩნდით ასეთ ვითარებაში.

— მე მაინც ამ ომის ვერგათავისების ძირითადი მიზეზი სახელმწიფოსა და სამშობლოს ცნებების ჩვენთვის არაიდენტურობა მგონია, ამიტომაც იყო ეს სხვისი ომი, სადაც სხვას უნდა ებრძოლა. ამას ისიც დაემატა, რომ ომი მეტად არამომგებიან სიტუაციაში დაიწყო, გავიხსენოთ რა დროა ეს, — გავლილი გვაქვს ერთწლიანი მიტინგობის ჭანცისგამწყვეტი მარათონი, პატრიოტულ გრძნობებზე შეუბრალებელი თამაში, ამ გრძნობით სპეკულაცია, დაბლაგვებულია სამშობლოს განცდა, გადაფასებულია ტრადიციული ღირებულებები, ერი დაცლილი და დაღლილია... მარტო პათოსით მოგებული ომი ვის უნახავს, მაგრამ ეს პათოსიც ხომ საჭიროა ომისას....

— ალბათ საჭიროა, მაგრამ იყო კიდევ ერთი რამ, გამსახურდიას დროს გაჩენილი ეს პათოსი ნაწილობრივ იძულებით ხასიათს ატარებდა იმ მხრივ, რომ საზოგადოებრივი გაკიცხვა, მოღალატედ გამოცხადება, მორალური წნეხი ამჟღავნებდა არსებობდა. ომის პირობებში ეს წნეხი საჭიროც კია, მაშინ კი მას სულ სხვა მიზანი ჰქონდა და არ იყო საჭირო. დღეს ასეთი მორალური წნეხი არ არსებობს არც ფრონტზე, და არც ზურგში. არ არსებობს საზოგადოებრივი რეაქცია, — ისიც დაბლაგვებულია. ამიტომაც გახდა სხვისი ჭირი ეს ომი, სხვისი მოსაგები და სხვისი პრობლემა ზოგიერთებისათვის.

— და მაინც რა წაიყვანდა ომში ქართველს?

— იდეოლოგია, რომელიც დაარწმუნებს მას, რომ ეს სახელმწიფო მისი დასაცავია, რომ ქვეყნის დაცვა მისი ოჯახის დაცვაა, შვილების დაცვაა, მომავლის დაცვაა. ამას დრო უნდა, ამიტომაც მოგახსენეთ, ის ომში წასული ათი პროცენტი გამიკვირდა-მეთქი. ეს ის კატეგორიაა, რომელთაც იდეოლოგიის გარეშეც იციან, რომ სამშობლოს დაცვა სჭირდება. აფხაზური მხარე, ჩვენგან განსხვავებით, საკუთარი იდეოლოგიით ათწლეულების მანძილზე ზრდიდა თაობებს, სხვათაშორის ჩეჩნებთან მათ ეს იდეოლოგია სულ რაღაც ორ წელიწადში შექმნეს, რითაც ისინი ომში ჩააბეს, სხვა საკითხია როგორია მათი იდეოლო-

(დასასრული მე-4 გვ).

ბორის ელცინი შეხვდა ამიერკავკასიის ხელმძღვანელებს

მოსკოვი, 8 ოქტომბერი. (იტარ-ტას-საქინფორმი). დღეს შუადღისას კრემლის დიდ სასახლეში დაიწყო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის შეხვედრა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის უმაღლეს ხელმძღვანელებთან — ჰეიდარ ალიევთან, ედუარდ შევარდნაძესთან და ლევონ ტერ-პეტროსიანთან.

როგორც იტარ-ტასისა და საქინფორმის კორესპონდენტებმა ინფორმირებული წყაროებიდან შეიტყვეს, შეხვედრაზე განიხილეს, უწინარესად, ამიერკავკასიის რეგიონში შექმნილი სიტუაცია.

რუსეთის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ აგრეთვე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვიქტორ ჩერნომირდინი, საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია კოზირევი და თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი.

საქართველომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა გადაწყვიტა

მოსკოვი, 8 ოქტომბერი. (იტარ-ტას-საქინფორმი). საქართველომ გადაწყვიტა შევიდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. ეს ედუარდ შევარდნაძემ ჟურნალისტებს განუცხადა ბორის ელცინთან დღევანდელი შეხვედრის შემდეგ.

საქართველო — რუსეთი: ხელი მოაწერეს სამ შეთანხმებას

მოსკოვი, 8 ოქტომბერი. (საქინფორმის კორ. მიხეილ ჯიხვაშვილი). დღეს მოსკოვში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიქვაიძემ და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს სამ შეთანხმებას საკონსულოს, საბაჟოსა და რუსეთ-საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ალექსანდრე ჩიქვაიძემ თქვა, რომ ეს პირველი მერცხალია რუსეთ-საქართველოს შორის დიდი ყოვლისმომცველი შეთანხმების დადების წინ. პირად საუბარში ბორის ელცინი და ედუარდ შევარდნაძე მორიგდნენ, რომ უმოკლეს ვადებში მოაწერენ ხელს ამ ხელშეკრულებას. როგორც ჩანს, განაცხადა ალექსანდრე ჩიქვაიძემ, ხელშეკრულება დაიდება იაპონიაში ბორის ელცინის ვიზიტის დამთავრებისთანავე. მან აგრეთვე დასძინა, რომ მზადდება შეთანხმება რუსეთ-საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

შეეხო რა მოსკოვის ოთხმხრივ შეხვედრას, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფოებისა და რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელთა შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რუსეთს სომხეთთან შეთანხმებული ურთიერთობა აქვს. სომხეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრია, აზერბაიჯანიც შევიდა თანამეგობრობაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოსკოვის შეხვედრა ამიერკავკასიის სახელმწიფოებისა და რუსეთის ფედერაციის მეთაურთა პირველი შეხვედრაა. ბოლო დროის განმავლობაში სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელმძღვანელებმა პირველად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს.

შეხვედრის დროს პირველად ილაპარაკეს იმაზე, რომ ამიერკავკასიის სამმა რესპუბლიკამ და რუსეთმა ერთად უნდა უზრუნველყონ სარკინიგზო მიმოსვლის უსაფრთხოება — ჯერჯერობით საქმე ეხება ფოთი-თბილისისა და შემდგომ სომხეთისა და აზერბაიჯანისაკენ მიმავალ მონაკვეთს. ამას არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, განსაკუთრებით ბოლო ხანს აფხაზეთში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მიაღწია იმას, რომ რუსეთი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთობლივად უზრუნველყოფენ სარკინიგზო მოძრაობის უსაფრთხოებას ადლერ-სამტრედიის მონაკვეთზე.

8 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა აგრეთვე ედუარდ შევარდნაძისა და რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ჩერნომირდინის შეხვედრა.

ამერიკის შეერთებული შტატები ზრდის დახმარებას

8 ოქტომბერს თბილისის აეროდრომზე დაეშვა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავი, რომელმაც ჩამოიტანა კვების დღიური რაციონის ოცი ათასი კომპლექტი. იგი საქართველოში გამოგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ.

რამდენიმე კვირის განმავლობაში საქართველოში ჩამოიტანენ დიდი რაოდენობით კვების, მედიკამენტებისა და ვაქცინების კომპლექტებს. დახმარების პირველი პარტიის ღირებულება, რომელსაც შეერთებული შტატები საქართველოს უწევს, დაახლოებით 4,3 მილიონი დოლარისაა, განაცხადა შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა, პრეზიდენტ კლინტონის სპეციალურმა კოორდინატორმა კატასტროფების დროს საერთაშორისო დახმარების დარგში ჯ. ბრაიან ეტვუდმა. მან თქვა, რომ საერთაშორისო განვითარების სააგენტო უხელმძღვანელებს მრჩეველთა ჯგუფს, რომელიც გამოგზავნილია საქართველოს რესპუბლიკაში იმის შესაფასებლად, თუ რა ჰუმანურ დახმარებას საჭიროებს აფხაზეთში მიმდინარე სამოქალაქო კონფლიქტის რაიონიდან გამოქცეული დაახლოებით 200 ათასი ლტოლვილი და გადაადგილებული პირი.

გერმანელთა წვლილი

ბონი, 8 ოქტომბერი. (იტარ-საკდენ-საქინფორმი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ დღეს 1,8 მილიონი მარკა გამოჰყო აფხაზეთიდან ლტოლვილთა სასწრაფო დახმარებისთვის. გარდა ამისა, ოფიციალურმა ბონმა 300 ათასი მარკა გამოუყო საერთაშორისო წითელ ჯვარს წამლების შესასყიდად.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრებით შეისყიდიან კარვებს, თბილ ტანსაცმელს, სურსათს, რომლებსაც თვითმფრინავებით უახლოეს დროში ჩაიტანენ ქალაქ ქუთაისში, იქიდან კი ვერტმფრენებით გადაზიდავენ სვანეთში.

საბანკო სისტემის მოწესრიგებისათვის

საქართველოში არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარებას ეკონომიკის სირთულეებიც ემატება. მოწესრიგებას მოითხოვს საბანკო სისტემა.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, რესპუბლიკის ფინანსური რეზერვების ფონდის საბჭოს თავმჯდომარემ ამირან ქადაგიშვილმა მიმართა სახელმწიფო-კომერციულ და კომერციულ ბანკებს, რათა მიმდინარე წლის 11 ოქტომბრისთვის წარადგინონ ინფორმაცია მოსახლეობისაგან მიღებული ანაბრის ნაშთების, არსებული თავისუფალი საკრედიტო რესურსების რაოდენობისა და მათი კომერციულ ბრუნვაში ჩართვის პირობების შესახებ, აგრეთვე სახელმწიფო-კომერციული და კომერციული ბანკების ჩამონათვალი, რომლებსაც საშუალება აქვთ შეიძინონ უცხოური ვალუტა სახელმწიფოს დავალებით, შესასყიდი ვალუტის რაოდენობა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის პირობები.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

ომი, რომელიც გრძელდება

კვლავ ქვეყნის იარებს მიხედავენ

პალატაში ოთხნი წვანან: — ალიკა ნოზაძე, ბატალიონ თბილისელის შტაბის უფროსის მოადგილე; გივი მატუა, 23-ე დივიზიის, მე-3 ბატალიონის, მე-2 ასეულის მე-3 ოცეულის მეთაურის მოადგილე; თენგიზ ქარდავა, ამავე ასეულის ათმეთაური და პაატა კოტია, — დამკვირვებელი. ოთხივე აჩადარაში დაიჭრა 17 სექტემბერს... მე შევეცადე მათი ნაამბობისათვის ხელი არ მეხლო, რათა მკითხველი კიდევ ერთხელ გამხდარიყო იმ საშინელების მოწმე, რომელიც აფხაზეთში და კერძოდ აჩადარაში დატრიალდა.

თენგიზ ქარდავა: — 16 სექტემბერს, დღის 2 საათზე დაიწყო აჩადარაზე ყოველი მხრიდან შეტევა, 19-ში უკვე სოფელი დაეცა. ეს სამი დღე საშინელებებით, ცრემლითა და ტკივილით მობრუნდა ჩვენს თავზე. აჩადარელებმა მხოლოდ სამ დღეს გაუძლეს... სასკოლოდ ვემზადებოდით და სოფელი ბავშვებით იყო სავსე, სამმხრივი ხელშეკრულებით იმედმიცემული თითქმის ყველა ლტოლვილი მოუბრუნდა საკუთარ კერას. პირადად მე, ამ მოჩვენებითი სიმშვიდისა არ მჯეროდა, ვიცოდი, რომ დიდხანს არ გასტანდა, იმასაც ვხედავდი, რომ სოფელ შრომაში სწრაფი ტემპით მიდიოდა სანგრების თხრა, მერე, ჩვენი დამკვირვებლები სცემეს და გამოყარეს აფხაზებმა, — თქვენ აქ რა გესაქმებათო. ისინი კვლავ ძველებურად პრივილეგიებს ჩემულობდნენ და სარგებლობდნენ კიდეც ამ პრივილეგიებით.

ერთი რამ მინდა გულისტკივილით ვთქვა, ამ ომში საქართველოს მოსახლეობის ათი პროცენტი თუ მონაწილეობდა, აფხაზები კი დადიან პატარიანად ომში იყვნენ ჩართული, იმასაც ვიტყვი, რომ იმ ათი პროცენტიდან გარკვეული ნაწილი ომით ხელს ითბობდა, რაღა დარჩა? ამიტომაც ვერ მოვიგეთ. ადგილობრივ მოსახლეობას არ გვენდობდნენ იარაღს, საკუთარი სახლების დაცვას დაიწყებთო, შეიძლება ასეთებიც ერია ჩვენში, მაგრამ ყველა ხომ არ იყოს ასეთი?! ისე კი, მართლა ყველას რომ თავისი სახლი დაეცვა, ეგებ სოფელიც არ დაგვეკარგა. ჩამოსულ ბიჭებზე ცუდის სათქმელად ენა როგორ მომიბრუნდება, მაგრამ სიტუაციას ადგილობრივები უკეთ ვფლობდით.

ახლა აქა-იქ გაისმა, რომ აჩადარელებმა აჩადარა მიატოვეს, ეს სიცრუეა, ჩვენ ბოლო წუთამდე, სანამ გაძლება შეიძლებოდა გავუძლეთ. მტერმა ტექნიკით და მომგებიანი პოზიციით (მაღლობზე იდგა) გვაჯობა: სამი დღე რამდენიმე ავტომატის ამარა ვიყავით, იმასაც ვერ ვიყენებდით, იმდენი სახის ტექნიკა გვირტყამდა. დაიწვა ყველა სახლი და ეს ხდებოდა წამებში, „სნარიადის" ხმას მაშინვე ცეცხლი მოჰყვებოდა და და რამდენიმე წუთში ნასახლარზე არაფერი რჩებოდა, ქუჩებში ჩვილბავშვიანი დედები ეყარნენ, ისმოდა კვნესა, ტირილი, განსაკუთრებით ფორმიანებზე ნადირობდნენ, საკმარისი იყო ოჯახში სამხედრო ფორმა ენახათ, რომ მთელ ოჯახს ხვრეტდნენ. უამრავი თანასოფლელი დაგვეღუპა, ბევრმა მოასწრო და ეზოებში დამარხა მიცვალებულები, ბევრი დაუმარხავი დარჩა. ღუდისერთა დათო ზაქარაია ჩემს თვალწინ მოკლეს, მამამისმა ვერ მიატოვა მკვდარი შვილი უპატრონოდ და სოფელში დარჩა, მერე გავიგეთ, შვილის საფლავზე დაკლეს თურმე აფხაზებმა.

ალიკა ნოზაძე: — 16-ში პარასკევს, ჩაფრინდით თბილისიდან სოხუმში, მერე აჩადარაში გაგვანაწილეს, ახალი პოზიციები უნდა დაგვეკავებინა, მაგრამ პოზიციაზე გასვლა და ერთბაშად „გრადების" წვიმაში მოვხვდით, ისროდნენ პირდაპირ და დამიზნებით, გაყიდული ვიყავით წინდაწინვე და ეს არ იყო პირველი შემთხვევა. საერთოდ ჩემი აზრი ასეთია, როცა ადამიანი სამჯერ მოგატყუებს და გიმუხთლებს მას მეოთხეჯერ ხელი აღარ უნდა ჩამოართვა, მით უმეტეს, როცა საქმე მტერთანა გაქვს. ჩვენ ძალიან გულუბრყვილოდ და ჯიუტად გვჯეროდა აფხაზებისა, გვჯეროდა ხელშეკრულებისაც და გვეგონა, რომ მას ვერ დაარღვევდნენ, რატომ გვჯეროდა? მე მაგალითად, არ მჯეროდა, და ასეთი განწყობისა ბევრი იყო მებრძოლთა შორის. აფხაზეთში ომის დაწყების დღიდან ვიბრძვი, ბევრი საშინელების მომსწრე გავხდი ამ ერთ წელიწადში, მაგრამ აჩადარაში მესერზე ჩამოცმული სამიოდე წლის ბავშვის სახე თვალებიდან არ ამომდის და მთელი ხმით მინდა დასტური მივცე ჯაბა იოსელიანს — რომ მტერს მტერი უნდა დაერქვას, კარგა ხანია უკვე...

გივი მატუა: სამი ოცეული იდგა [illegible], „სარანჩა" და „კაზინო". სამივე ადგილობრივებით იყო დაკომპლექტებული, სამი დღე სანგრებიდან ვიგერიებდით მტერს; მერე გამოსვლა გახდა საჭირო, გამოსვლისას ნაღმზე ავფეთქდი, მარჯვენა ფეხი დავკარგე.

ხელშეკრულება რომ დაარღვიეს, აფხაზებისგან ეს სიმუხთლე არ გამკვირვებია. ყველა მშვიდობიანი ამოსუნთქვისას, ისინი გამალებით იარაღდებოდნენ, ამას ხედავდა ადგილობრივი მოსახლეობა, მაგრამ ყური არავინ გვიგდო, „პანიკიორებს" გვეძახდნენ; მაშინ, როცა აფხაზები იარაღდებოდნენ, ჩვენ თბილისიდან ინჟინრებს გვიგზავნიდნენ დანგრეული სახლების აღსადგენად. ხელშეკრულების დადების შემდეგ ჩვენ ტექნიკა გამოვიყვანეთ, რუსმა ძველი გაიყვანა, ახალი კი ჩუმად შემოიყვანა. ამას თავის დროზე უფროსობას ვეუბნებოდით, და თუ დღეს აფხაზეთში ცოდვის კალო ტრიალებს, ამის მიზეზი პირველ რიგში ჩვენი გენერალიტეტის უგერგილობაა, სწორედ ის ვერ აღმოჩნდა, პირველ რიგში, სათანადო სიმაღლეზე. ერთი წლის მანძილზე კინდღში გადასმული დესანტის განადგურების გარდა, არც ერთი სამხედრო სტრატეგიული ოპერაცია არ გაგვიხორციელებია, — ძნელია ამის აღიარება, მაგრამ ეს ასეა.

პაატა კოტია: — დამკვირვებელთა ჯგუფი, რომელშიც მეც გახლდით, აბსოლუტურად მოუმზადებლად გაუშვეს სოხუმიდან, არ ვიცოდით სად რა უნდა გვენახა. ერთი კვირა აფხაზთა ცენტრალურ შტაბში ვიყავი აღმოსავლეთის ფრონტზე, ჩვენი უფროსები ხელს არ გვიძრევინებდნენ, გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ მხოლოდ იქ ყოფნა გვევალებოდა, აფხაზი დამკვირვებლები კი ინტენსიურად მუშაობდნენ. ჩვენს პროტესტზე უფროსები გვიპასუ- [illegible] ომ ყველაფერი [illegible] თეფული იყო, ასე ტყუილად [illegible] კარგეთ დრო, მერე აფხაზებმა ავტობუსით გამოგვიშვეს უკან.

16-ში შემოტევისას, სახლში ვიყავი, გავიგეთ, რომ ოჩამჩირეში ფრონტი გაიხსნა, იარაღი ავიღეთ და იაშლუხის მთებში წავედით, მოგვეცეს დავალება, რომელიც ისევ უფროსობის გამო ვერ შევასრულეთ, 30 კაცი გავედით პოზიციაზე და აფხაზთა ჯგუფს შევეჩეხეთ, მეგრულად გაგვესაუბრნენ შორიდან, აქცენტი არ მომეწონა და პაროლი მოვთხოვე, რა თქმა უნდა. ვერ მითხრეს, ცეცხლი გავუხსენით, იქ დავიჭერი... ვფიქრობ, მტრის რეალური შეფასება გაწნავლის, როგორ უნდა ებრძოლო მას, ჩვენ კი ამ ერთი წლის მანძილზე მტერი სათანადოდ ვერ შევაფასეთ, ამიტომაც დაგვჯაბნა. ამას თან დაერთო ჩვენი დღემეხვალიეი ხასიათი, დაუდევრობა, უწესრიგობა, ჩვენმა დაზვერვამ ათონის რაიონში 2 გრადი და 150-მდე რაკეტა აღმოაჩინა. ვაცნობეთ, მაგრამ ყური არავინ შეიბერტყა, ჩვენც სასწრაფოდ უკან გამოგვიყვანეს, დარჩა ყველაფერი ხელუხლებლად... სანამ შრომაზე შეტევა დაიწყებოდა, ერთი მოხუცი კაცი ფეხით მოდიოდა მთელი კვირის მანძილზე ჩვენთან და გვაფრთხილებდა მოსალოდნელი თავდასხმის გამო, მაგრამ არავის ჩაუთვლია სერიოზულად მისი გართხილება. ჩვენი მიცვალებულების გამოსახსნელად იარაღს რომ შემოგვითვლიდნენ და ჩვენი ხელით მიგვეცნდა, ესეც ვიცოდით და... მაინც მშვიდად ვიყავით...

... ბრაზობენ, ხმა უწყდებათ, მუშტებზე იყურებიან, მოძრაობები უჭირთ... მაგრამ, ალბათ, არც ის დღეა შორს, როცა ქრილობამოშუშებულები კვლავ ქვეყნის იარებს მიხედავენ...

ფერიდე ბიწაძე

დღეს გაგრძელებთ იმ საწარმოების და დაწესებულებების, მოქალაქეების სიების გამოქვეყნებას, ვინც რესპუბლიკის თავდაცვის ფონდს შეეწია და სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მადლობა დაიმსახურა

ქუთაისი

ტერიტორიულ სამეურნეობათაშორისი გაერთიანება	11194
ქუთაისის სოც.-უზრუნ.და სამ. დაზღვევ. ერთიანი სახ. ფონდი	70310
ფარიკაობის ოლიმპიური სპეცსკოლა	4580
ქუთაისის ი. გოგებაშვილის სახელობის თოჯინების თეატრი	2725
დასავლეთ საქართველოს სპეც.სამეცნ.სარესტავრ.სახელ.	16953
კოოპერატივი „ოკეანე"	10000
ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი	16400
მე-17 საშუალო სკოლა	660
26-ე საშუალო სკოლა	330
35-ე საშუალო სკოლა	10315
პირველი საშუალო სკოლის ანსამბლი „ანგელოზები"	16700
პირველი საშუალო სკოლის ანსამბლი „ანგელოზები"	300
მოსწ.ახალგაზრდობის ტექ.შემოქმ. საქალაქო ცენტრი	3000
მრავალდარგოვანი მცირე საწარმო „ინტერფეისი"	20000
საღამოს № 1 საშუალო სკოლა	716
ქუთაისის მუსიკალური სკოლა ინტერნატი	21360
ავტომექანიკური კოლეჯი	7793
ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა „იმერეთის" პროფკომი	238
ქუთაისის № 5 სტამბა	7513
№1 მექ.კოლონა	57753
№1 მექ.კოლონა	90021
ავტოქარხნის მილსადენი	30720
მცირე საწარმო „ელექტროდი"	100000
მცირე საწარმო „ენერგეტიკოსი"	1785
გუმათის მრავალდარგ. კომბინატი	50000
„საქჰიდროენერგომშენის" რკინა-ბეტონის ქარხანა	5048
საწ.სამ.გაერთიანება	9777
ფოლად კონსტრუქციების სამმართველო	8693
ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკა	7600
ხორცკომბინატი	5900
საქელექტრომონტაჟი	2970
სახლმშენებელი კომბინატი	29246

ამბროლაურის რ-ნი

თავდაცვის ფონდი	8705
ბუგეულის სასოფლო საკრებულო	3900
რაჭის სამთო-ქიმიური ქარხანა	100000
ამბროლაურის საგზაო სამმართველო	8548
ამბროლაურის ავტოსატრანსპორტო საწარმო	3416
ამბროლაურის ავტოსატრანსორტო საწარმო	1342
ამბროლაურის ელექტროქსელი	12964

ასპინძის რ-ნი

თავდაცვის ფონდი	1500
თავდაცვის ფონდი	11220
თავდაცვის ფონდი	8477
თავდაცვის ფონდი	10000
თავდაცვის ფონდი	30000

ახალქალაქის რ-ნი

კაფდეის სას.საბჭო	3000
ავტოსატრანსორტო საწარმო	50000
მსო	10000
მსო	10000
„ახალციხის რძე" პპფ ახალქალაქი	60000
სოფ.მეურნეობის სამმართველო ახალქალაქი	20000
ჩუნჩხის სამმართველო	23000

ახალციხის რ-ნი

ანდრიაწმინდის სას.საბჭო	1695
ადგილმრეწველობის გაერთიანება	10000
ვაჭრ. პროფსაბჭო ე.ნათენაძის ხელფასიდან	56
მელიორ. და წყალთა მეურნ. საწარმოო სამმართ.	5300
მელიორ. და წყალთა მეურნ. საწარმოო სამმართ.	5000
რაიონის გამგეობა	3857
რაიფინგანი	1208
მინაძის სასოფლო საბჭო	1940
საბინაო-საექსპლოატაციო უბანი	940
სხვილისის სასოფლო საბჭო	2834
წყალთბილის თემის	



ომის ფრაგმენტი

სურათზე: თბილისის მერი კოტე გაბაშვილი სოხუმის დამცველთა რიგებში.
გურამ ჰაჰა ლობლიშვილის ფოტო

გურამ კლდიაშვილი

მხედრიონელს! გვარდიელს!

როცა მტერი შემოძვრა და ქურდულად გვარბიეს,
თქვენ მოგიხმოთ მამულმა მხედრიონელს, გვარდიელს!
როცა ერთად დაიძრა ამერი და იმერი,
ქვეყნის სადარაჯოზე თქვენ დადექით პირველი!
რომ მეგონა, ქართველი დაეცა და დაკნინდა,
ამ დროს სისხლი დავითის თქვენს ძარღვებში აყივლდა!
აყივლდა და აზვავდით, შვილნო, შვილიშვილებო,
საქართველოს საშველად ფეხზე წამოშლილებო!
ძნელი არის სათქმელად... როცა ცეცხლი გიზგიზებს,
ამ დროს ჩვენი სისხლ-ხორცი ზურგში ტყვიას გვიმიზნებს!
როცა მიწას გვართმევენ და მტერს უნდა დახვედრა.
ამ დროს ქონდრისკაცები კვეს ჰყიდიან დახლებთან!
როცა გადამთიელი ძმათა ხანძარს აჩაღებს,
მძევლად აჰყავს ქართველი გაჩენებულ ყაჩაღებს!
როცა ღმერთმა იმედად ერთ მიწაზე გვამყოფა,
დღეს მოუნდათ ამ მიწის ლუკმა-ლუკმად დაყოფა!
მაგრამ მამულს, ერთიანს, ადგას თქვენი ნათელი,
მას ვერ დაჰყოფს მომხდური და ვერც ვაი-ქართველი!..
ზოგ-ზოგებმა გაგწირეს, — ნარკომანი გიწოდეს,
მაშინ, როცა ტანკებში ძმები ცოცხლად იწვოდნენ!
თვითონ ბანდის თავები გეძახიან ბანდიტებს,
მაშინ, როცა გულებში საქართველოს დაიტევთ!
ზოგი აუფასურებს უანგაროდ დაღვრილ სისხლს,
როცა ჩვენო მხედრებო, უკვდავების ხართ ღირსი...
წუთით დაჩოქებული წამოდგება სოხუმი,
გაყიდული, ჯვარცმული, გრადებისგან მოხნული!
დააჩოქა სოხუმი განა მარტო მტრის ძალამ,
მოყვრის დაჩოქებაში მოყვრის ხელმა იმძლავრა!
დაიჩოქა სოხუმმა მხდალებით და ლაჩრებით,
თქვენ კი თავის განწირვით ლეგენდებად დარჩებით!
ღმერთმა ყველა ატაროს თავის სანთელ-საკმევლით,
დაგვიდგება დრო-ჟამი და ითქმება სათქმელი!..
თქვენ მოგმართავთ, და-ძმანო, შვილნო, შვილიშვილებო!
საქართველოს საშველად ფეხზე წამოშლილებო!
გვახსოვს, როგორ იცავდით სამაჩაბლოს სიმშვიდეს,
მაგრამ უმადურობა ზოგიერთის სულში ძევს!
გვაპატიეთ, თუ ზოგჯერ გული მწარედ გატკინეთ,
თუ ზედმეტად გაგჭორეთ და უცრემლოდ გატირეთ!
დაგაბრალეთ ზოგი რამ, უკადრისი გაკადრეთ,
ზოგჯერ სიტყვაც გაგვექცა, ზოგჯერ ზომაც დავკარგეთ!
ჩაგვითვალეთ, მხედრებო, უნებლიე შეცდომად,
მხოლოდ ომში შევძელით თქვენი ნაღდი შეცნობა!
გასაჭირში გიცანით, რანი ხართ და ვინა ხართ,
ყოველ თქვენგანს თავს გიხრით! ყველას ხსოვნას ვინახავთ!

ადამიანები ჩვენს ირგვლივ

სამშობლოს უმზადებენ

ჩვეულებრივ მამაკაცები ტირილისას შემზარავი ხდებიან. მასზე კი ამას ვერ იტყვი. უცებ ცრემლი ლოყაზე ჩამოუცურდა და პერანგის საყელოზე დაეცა... საოცარია, ხანდახან რა წვრილმანებზე არ გაიფიქრებს ადამიანი! აი, მაგალითად, მე ამ წუთში გავიფიქრე, თეთრ საყელოს ცრემლი ჩაანაცრისფერებს-მეთქი.

ასეთი წვრილმანი, გეცემა თვალში და გაიძულებს, თუნდაც წუთიერად გული გადააყოლო, ან იქნებ სულაც ესაა ჩვენი სულის მხსნელი რეაქცია? სხვაგვარად გაჭირვების გადატანა ადამიანებს, ალბათ, ძალზე გაგვიჭირდებოდა.

ომი! ეს სიტყვა ანგრევს ცხოვრებას. იგი მოდის სადღაც გულის სიღრმიდან და მოაგორებს უსაშველო ტკივილს. „მოკვდა", — ესე იგი, გაქრა, შეენივთა ყინულოვან სიცარიელეს. „მოკვდა" — უფსკრულია. რაც იყო, იმას ველარ დაიბრუნებ. კახა მასწავლებელი დაღუპულ მეგობრებს დასტირის, დანგრეულ და აწიოკებულ მშობლიურ აფხაზეთს დასტირის, შეურაცხყოფილ ქართველობას. ზოგჯერ ეჩვენება, რომ ეს ყველაფერი ძალიან დიდი ხნის წინათ გაუგონია, ძველ, დაგლეჯილ, სადღაც მიგდებულ რომანში წაუკითხავს.

ფანჯრიდან სოფლის ბიჭების ყიჟინა მოისმოდა. ყიჟინას თან ერთვოდა მახლობელი დუქნიდან გამოვარდნილი აფეთქებული ხარხარი, მაგრამ ძმები მაინც ჯიუტად განაგრძობდნენ მეცადინეობას. გუდაუთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობელ მარიამის მფარველობისა და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მნათე კახა კაკაბაძე თავის ძმასთან გოჩასთან ერთად როგორც ქართველ, ისე აფხაზ ბავშვებს ქრისტესმიერ სიყვარულს ასწავლიდა და თან...კარატეში ამეცადინებდა. გაგრასა და გუდაუთში სამი აფხაზი ოსტატი იყო, მაგრამ არაქართველებს უპირატესად კახასთან მოჰყავდათ ბავშვები, რადგან იგი მათ ზნეობრივად ზრდიდა. აფხაზი მეგობრები ბევრი ჰყავდა გუდაუთში. მათი დახმარებით გამოაღწია სამშვიდობოს ომის დაწყებიდან სამთვენახევრის შემდეგ, მანამდე ეკლესიაში იმალებოდნენ ძმები და ყოველდღე სიკვდილს თვალებში ჩასცქეროდნენ.

მერე გოჩა სამხრად წავიდა აფხაზეთში. კახა სასტუმრო „ივერიაში" დაბინავდა და ისევ ბავშვების წვრთნას და აღზრდას მიჰყო ხელი.

სასტუმრო „ივერიაში" თითქმის ობოლი ბავშვები ცხოვრობენ. ნახევრად დამშეული, უსახლკარო, ობოლი ბავშვები, ომის სუსხგამოვლილი, თვალცრემლიანი ლტოლვილები. მათ მხსნელად მოევლინა კახა მასწავლებელი. ბავშვებს დაწყვეტილ ნერვებთან ბრძოლაში, მოზღვავებული განცდის გამკლავებაში დაეხმარა. მიაჩნია, რომ სამშობლოს მომავალი დამცველები როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად ძლიერები უნდა გაიზარდონ. ვარჯიში სასტუმრო „ივერიის" ფოიეში გამართეს. არ ჰქონდათ აღჭურვილობა, მაინც ვარჯიშობდნენ. ახამდე ლტოლვილ! მალე თბილისელი ბავშვებიც შემატნენ. კახა მასწავლებელს ახლა უკვე 885 შეგირდი ჰყავს და ყველას უფასოდ ავარჯიშებს. თვითონ უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი, მატერიალური ანაზღაურების გარეშე მუშაობს. ასეთია მისი მრწამსი. ოცნებობს თბილისში ერთი უფასო კარატეს კლუბი იყოს.

მალე შეჯიბრებაზე გაიყვანს თავის აღსაზრდელებს. ამისათვის კი სათანადო პირობებია საჭირო. ზაფხულში არდადეგების პერიოდში თითო თვე უფასოდ დაუთმეს დარბაზი 46-ე და 50-ე საშუალო სკოლის დირექტორებმა. მერე ვიღაცამ უთხრა, ცენტრალური საწყლოსნო კომპლექს „ვერეს" დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი ისეთი ქველმოქმედი კაცია, აუცილებლად დაგეხმარებაო.

— გავბედე და ვთხოვეო, — ამბობს კახა. ბატონმა ვლადიმერმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა (თუმცა მისი მეცენატური საქმიანობის მცოდნეებს ეს არ გაკვირვებიათ), არა მარტო უფასოდ დაუთმო დარბაზი (განუსაზღვრელი ვადით), ასევე ლტოლვილი ბავშვი დაასაჩუქრა. თითოეულს გადასცა 2 კილო შაქარი, 10 000 კუპონი, ვარჯიშის დროს აუცილებელი ნივთები, კახა მასწავლებელს კი სპორტული ტანსაცმელი.

ბავშვები შეჯიბრებისთვის ემზადებიან, — თქვა ბატონმა ვლადიმერმა, — ნორმალური კვების პირობები, სამწუხაროდ, მათ არა აქვთ, მაგრამ შაქარი მაინც უნდა მიიღონ საჭირო რაოდენობით, რომ მომაგრდნენ. აქვე გავიცანით თბილისის ახალგაზრდობის ქრისტიანული ასოციაციის თავმჯდომარე რეზო სულა[illegible], რომელსაც გარკვეული გეგმები აქვს მათ დასახმარებლად. იქნებ მას სხვებმაც მიბაძონ და დედაქალაქში არსებულ ამდენ ფირმებს შორის ერთი სპონსორი მაინც გამოჩნდეს, რომელიც თუნდაც მცირე ხელფასს დაუნიშნავს კახა მასწავლებელს, ზნეობრივი სიმტკიცის მაგალითად რომ ქცეულა ჩვენს უმძიმეს დროში.

მზია გელენავა

P. S. ბატონ ვლადიმერ გოიაშვილს კი თავისი გეგმები აქვს — კარატისტებისათვის, უფრო ზუსტად, კახა კაკაბაძისათვის სპეციალური დარბაზის გახსნას აპირებს და სპონსორს ეძებს სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად.

რატომ დაინტერესდა „აბჯარი" ამ ფაქტით? იმიტომ, რომ, მგონი, საიდუმლოს არ გავთქვამთ — ამ პატარა ბიჭების სახით სამომავლოდ სამშობლოს დამცველებს ამზადებენ. არა მარტო გულმხურვალე პატრიოტიზმს, — პროფესიონალიზმსაც უყრიან საფუძველს.

ამ თემას ისევ დავუბრუნდებით.

ა. ბ.

ჩვენ გვწერენ

«ხვალ» იმედით დატვირთული მომავალია!

„ცოცხლობდე — ნიშნავს იბრძოდე, იბრძოდე — ნიშნავს ცოცხლობდე", ხოლო სადაც სიცოცხლეა, იქ იმედიც არის, — ამას მოწმობს ჩვენი სარედაქციო ფოსტა, რომელიც დღითიდღე ივსება.

გვწერენ სხვადასხვა პროფესიის, სხვადასხვა ასაკის ადამიანები, ისინი, ვისთვისაც „გუშინ" — ტკივილიანი წარსულია, „ხვალ" — იმედით დატვირთული მომავალი.

რამდენიმე ჩანახატისა და ნარკვევის გმირად ქცეულა ამირან პაპუნაშვილი, სხვადასხვა ავტორები ზ. ქარქაშაძე თუ ს. ასათიანი, ც. გორგოტაძე თუ თ. მოდებაძე ერთნაირი სიამაყითა და სიყვარულით, სევდითა და სინანულით წარმოგვიდგენენ მის პორტრეტს: „კეთილშობილი, წიგნიერი, ულალატო მეგობარი". ამირანის ხელში იარაღი ვერავის წარმოედგინა, ბევრს ცნობისწადილი კლავდა ეს წესიერი ბიჭი რატომ შევიდა „მხედრიონში". ამირანის ყურს არ გამოპარვია მითქმა-მოთქმა. „[illegible] ვიცი ჩემზე ვინ რას ფიქრობს, მაგრამ მე მხედრიონელი ვარ და [illegible] ყება. თითო-ოროლა ულირსი ყველ[illegible] შეიძლება მიეტმასნოსო.

სურვილში შეიცნობაო კაცის რაობა, მისი სურვილი კი მამულის მთლიანობისათვის თავის გაწირვა იყო. პირველს ვერ მოესწრო. მისი გვარსახელი ახლა ვახტანგ გორგასლის სახელობის II ხარისხის ორდენის კავალრებთან ერთად მოიხსენიება.

რედაქციაში ახალგაზრდა შავოსანი ქალი მოვიდა და სულისშემძვრელი ამბავი გვაცნობა. იმ დღეს, როცა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ პუბლიკაციაში შინ მშვიდობით დაბრუნებას ვუსურვებდით 19 წლის ძალისელ კახა წინამძღვრიშვილს, იგი ტამიშთან შეუპყრიათ აფხაზებს და სასტიკად უწამებიათ.

ძნელია უემოციოდ ამ პირტიტველა გმირების ფოტოების დათვალიერება, მათი დაფერფლილი ღიმილის წარმოდგენა.

„გუშინ" — ტკივილიანი წარსულია, „ხვალ" — იმედით დატვირთული მომავალი.

მხოლოდ იმედიან კაცს შეუძლია ხვალინდელზე ზრუნვა.

ეს იგრძნობა საქართველოს გენერლებისა და ოფიცერთა რესპუბლიკური ეროვნული გაერთიანების შტაბის უფროსის ლურუ ჭითანავას წერილში. ავტორს მიაჩნია, რომ ახალგაზრდის ზნეობრივი, იდეური და პატრიოტული აღზრდა საუკეთესო შედეგს იძლევა. ვინ მიდის ჯარში? საიდან უნდა დაეიწყოთ მისი აღზრდა? ამაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეროვნული ჯარის ბრძოლისუნარიანობა.

საბრძოლო ეპიზოდებს, დაღუპულ თანამებრძოლებს იგონებს თავის წერილში ავთანდილ ტომბაიდისი. მან მთელი სიცხადით შეიგრძნო აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია და კიცხავს სამოქალაქო ომის გამჩაღებლებს, რომელთაც არ იციან თანამოძმის სიცოცხლის ფასი.

ვისაც გაცნობიერებული აქვს ამ ქვეყნად თავის არსებობა, მედიკოსთა ყოველ მოწოდებაზე სხვის გადასარჩენად საკუთარ სისხლს იღებს. თბილისელი ე. ბუჩუკური გვწერს, რომ მხოლოდ ერთხელ შესძლო დაჭრილი მეომრისათვის სისხლის გაღება, შემდეგ ექიმებმა აუკრძალეს და გულდაწყვეტილია ამის გამო.

სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც ლაფს ასხამენ გვარდიელის ფორმას, სახელს უტეხენ ქართველ მეომარს. საქართველოს სამხედრო გზაზე მანქანით მიმავალმა თბილისში მცხოვრებმა მ. კოროტკოვამ „ფორმიანებისაგან" დიდი ფიზიკური და სულიერი ტრავმა მიიღო, რაც საგრძნობლად შეუმსუბუქეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს კავკასიონის ტრასის ასეულის კობის საგუშაგოსთან. როგორც წერილის ავტორი გვატყობინებს, ნაცემ-ნაგვემს დახმარება აღმოუჩინეს და წართმეული ნივთები დაუბრუნეს. იგი განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებს საგუშაგოს თანამშრომლებს ზურაბ ძმორაშვილს, ავთანდილ შერმადინს და ზაზა ჯოხაძეს.

ქართველები ფეხზე მყარად მდგარ ქართველს ვერ ვიტანთ, თორემ წაქცეულის წამოყენებაში ვერავინ შეგვედრება. ამიტომაც არ არის გასაკვირი გასაჭირში მყოფთა მიმართ გულუხვობასა და გულისხმიერებას რომ ვიჩენთ. არც უკვირს, მაგრამ აშკარაა ამგვარი ფაქტები სიამეს პგერის ზ. ანთაძეს რომელიც გვწერს: „საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ხელმძღვანელობით ფულადი და მატერიალური დახმარება გადაეცათ ქალაქის საავადმყოფოში დაჭრილ მეომრებს".

ნ. გოდერძიშვილი გვატყობინებს, რომ თავდაცვის ფონდის შევსებაში თავისი წვლილი შეიტანა კასპის შემნახველმა ბანკმაც.

უკანასკნელ ხანს სარედაქციო ფოსტაში იმატა ლტოლვილთა წერილებმა. ისინი აღშფოთებას გამოთქვამენ თანამოძმეთა ლალატის გამო, მადლობას უხდიან მათ, ვინც გაჭირვება შეუმსუბუქა, ლუკმა გაუყო. გვწერენ სოხუმელები პ. თოფურიძე და შ. ჯაიანი, გულრიფშელი ვ. კედია და სხვები.

გვწერენ, გვიზიარებენ გულისტკივილს, იგონებენ, მსჯელობენ, ოცნებობენ — ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლე გრძელდება, ხოლო სადაც სიცოცხლეა, იქ იმედიც არის.

„გუშინ" — ტკივილიანი წარსულია, „ხვალ" იმედით დატვირთული მომავალი!

ლეილა კოშკაძე

სამშობლოს ძლიერებისთვის გაღებული წვლილი

სადგური ქუთაისი	10681
სადგური ქუთაისი-2	20797
სალოკომოტივო დეპო	26228
სასტუმრო ქუთაისი	20000
რიონის ჰესების კასკადი	21910
ტრესტი ქუთაის გაზი	7698
საქ.ბაყალეის ქუთაისის ბაზა	7376
საქ.ფეხსაცმელვაჭრობის ქუთაისის სახ.ბაზა	2300
საქ.ფეხსაცმელვაჭრობის ქუთაისის საბითუმო ბაზა	2783
კომერციული ფირმა „ტიტა"	20000
მრავალდარგოვანი ფირმა „თეზიასი"	261
ფირმა „ხალიბი"	30000
ფირმა „ხვამლი-87"	10000
მუნიციპალური [illegible] „ნიკეა"	1105
სახ.საწარმო „სიცო[illegible]"	3000
კოოპერატივი [illegible]	

ქ. რუსთავი

კონტროლის პალატა	200000
სამოქალაქო თავდაცვის განყოფილება	1111
ჯანგანყოფილება	14123
ხელოვნების სკოლა	3840
ს.გ. ქიმბოჭკოს პროფკავშირი	694
ფოლადკონსტრუქციების სსს	11541
რ.ს. „სანტექმონტაჟი"	15687
ელსამონტაჟო საიჯარო სამმართველო	16473
საშენ მასალათა კომბინატი	638
სატვირთო სავაგონო დეპო	40155
რუსთავის რკინიგზის სატვირთო	8445
საფირმო მაღაზია ს.გ. „თბილხორცი"	7700
ერთი პირის საწარმო ფირმა „ზარზმა"	30000
კომერციული ფირმა „ბუღლითი"	5000
საიჯარო ტარის შემკეთებელი უბანი	100000
კოოპერატივი „ოდა"	50000

ქ. ფოთი

თავდაცვის ფონდი	5673
ა.კ. რკ.სადგური	71223
სახ.საგადასახადო ინსპექცია	1577

ქ. ტყიბული

თავდაცვის ფონდი	22662
თავდაცვის ფონდი	33043
თავდაცვის ფონდი	5737

ქ. წყალტუბო

თავდაცვის ფონდი	1270
„საქჰიდროენერგომშენის" № 2 ასს	1825
ვარციხის ჰესის სამშენებლო სამმართველო	7948
სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო	1419
სამგზადერო ავტოსატრანსპორტო საწარმო	1289

ქ.ჭიათურა

გეზრულის საკრებულო	2943
მანდაეთის სას.საკრ.დეპუტატები	3000
გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმი	18887
კულტურის განყოფილების ქალთა საბჭო	900
ქვაციხის კულტურის სახლი	5000
მერევის საშ.სკოლა	7110
მეოთხე საშ.სკოლა	13780
სვერის საშუალო სკოლა	900
ცხრუკვეთის საშუალო სკოლა	2690
მედსანნაწილის საავადმყოფო	20000
№ 6 სამმართველო	111152
ს.გ. ჭიათურმანგანუმი	35713
რკინიგზის დეპარტამენტის სადგური	16535
სამგზავრო ა.ს.	12268
სატვირთო ა.ს.	11706
სატვირთო ასს	11584
ქ.გ. კვანძი	9706
ინდუსტრიაბანკი	50000
ა.ს-თან არსებული მც.საწ. „ჯრუჭულა"	178

აბაშის რ-ნი

თავდაცვის ფონდი აბაშა	89146

ადიგენის რ-ნი

რაიფინგანი	3000
ბოლაჯურის სასოფლო საკრებულო ადიგენი	121300
თავდაცვის ფონდი ადიგენი	496
სახ.საგადასახადო ინსპექცია	496

საკრებულოს გამგეობა	5960
თავდაცვის ფონდი	93811
სამედიცინო სასწავლებელი	270
სამედიცინო სასწავლებელი	265
სამედიცინო სასწავლებელი	1317
დამოუკიდებელი ქართული გაზეთი „ახალციხე"	500
გიორგიწმინდის სას. საწარმო	835
ახალციხის საგზაო სამმართველო	5555
რმტკ-3	5450
პარკის ც.ს.	3557
მესხეთის ელქსელები	14200
სამშენებლო ფირმა „მესხეთის" კოლექტივი	25000
ფირმა საქკომუნრემ. ახალ. წერ. №1	2207
კოოპერატ[illegible]ზერი"	10000
კოოპერატ[illegible]"	3000
[illegible]	340
სატყეო მეურნეობა	118
სატყეო მეურნეობა	2096
სატყეო მეურნეობა	202
სატყეო მეურნეობა	250
სატყეო მეურნეობა	407
სატყეო მეურნეობა	60
სოფლის მეურნეობის სამმართველო	77
გუმარეთის სახ.მეურნეობა	5000
მრავალდარგოვანი საწარმო „ტექყოფსერვისი"	213
სვირის საზოგადოებრივი მეურნეობა	911
სხვილისის სახ.მეურნეობა	593

ახმეტის რ-ნი

ქოყულის საკრებულოს მოსახლეობა	22000

ბაღდათის რ-ნი

გამგეობა	3405
განათლების განყოფილება	3200
განათლების განყოფილება	1270
დიმის №2 საშუალო სკოლა	3550
დიმის საკრებულო	1290
მეორე ობჩის სოფლის საკრებულო	6880
ნერგეთის საკრებულო	890
პირველი ობჩის სოფლის საკრებულო	2870
რაიფინგანი	575
რიკოთის საკრებულო	200
საქ.დემოკრატიული კავშირის ბაღდადის ორგანიზაცია	3700
ეროვნული თავდაცვის ფონდი ბაღდადი	29945
თავდაცვის ფონდი ბაღდათი	32595
ბავშვთა სპორტსკოლა	1260
გან.განყ-ბის მოსწ-თა კონცერტის შემოსავალი	1000
გან.განყ-ის მოსწ-თა კონცერტის შემოსავალი	2700
განათლების განყოფილება	14750
დიმის I ბაგა-ბაღი	2250
დიმის №1 საშ.სკოლა	2633
არასრული საშუალო სკოლა	708
ვარციხის საშუალო სკოლა	1000
ვარციხის საშუალო სკოლა	1275
ზეგნის არასრული საშუალო სკოლა	500
ზედა დიმის არასრული საშუალო სკოლა	2020
ზიმის არასრული საშ.სკოლა	1280
მეორე ობჩის არასრული საშ.სკოლა	610
მეორე ობჩის არასრული სკოლა	1035
მეორე ობჩის არასრული სკოლა	800
ნორჩ ნატურალისტთა სადგური	500
პირველი ობჩის არასრული საშუალო სკოლა	570
პირველი ობჩის არასრული საშ.სკოლა	1345
პირველი ობჩის არასრული საშუალო სკოლა	138
პირველი ობჩის საშუალო სკოლა	1050
პირველი ობჩის საშუალო სკოლა	2110
რიკოთის საშ.სკოლა	2000
რიკოთის საშუალო სკოლა	650
რიკოთის საშუალო სკოლა	118
წითხევის I საშუალო სკოლა	1025
წიფლიხევის საკრებულო	2035
წიფლიხევის საშ.სკოლა	45
წიფლიხევის საშ. სკოლა 505	
წყალთაშუას არასრული საშუალო სკოლა 1290	

(გაგრძელება იქნება)

აბჯარი
საქართველოს რესპუბლიკა
№29

რომან მიმინოშვილი

სათქმელი უნდა ითქვას

რვაფეხას საცეცები

დიდი ხანი არ არის, რაც ჩამოყალიბდა აფხაზი ერი. არა აქვს მნიშვნელობა, საკუთარი თუ ნასესხები ეთნონიმით, სუფთა ადიღეური თუ ასიმილირებული ქართველური ტომების მინარევებით. ერის ფიზიონომიას, მის არსს მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ტერიტორიაც, ენაც, ფსიქიკური წყობაც, კულტურაც, მაგრამ, ალბათ, არის ერთი ნიშანიც — ეს არის ეროვნული იდეა, რაღაც მაორგანიზებელი და შემაკავშირებელი. იგი, ეს იდეა, შეიძლება ენასთან და კულტურასთან ერთად ვლინდებოდეს რელიგიურ ერთიანობაში. აფხაზთა ეროვნული იდეა არც რელიგიურ ერთიანობაში გამოხატულა, რადგან აფხაზთა ნაწილი მაჰმადიანია, ნაწილი ქრისტიანი, ნაწილი ათეისტი, არც ენობრივ და კულტურულ კონსოლიდაციაში, რადგან აფხაზთა დიდი ნაწილისთვის მშობლიურ ენად და კულტურად იქცა რუსული, მაგრამ მაინც თუკი არსებობდა მაორგანიზებელი ეროვნული იდეა, ეს იყო არა მშობლიური ენისა და კულტურის სიყვარული, არამედ ქართველი ერის სიძულვილი! ეს უკუღმართი იდეა საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე გაავლვა რუსეთის იმპერიამ და რეალურ ძალად იქცა უკვე საბჭოთა პერიოდში. ეს იყო დამღუპველი იდეა, როგორც ყოველგვარი კაცთმოძულე და რასისტული იდეა, რამაც კიდეც მიიყვანა აფხაზი ერი დაღუპვის პირამდე. თუ განხორციელდება იმპერიული ძალებისა და მათი აგენტის — უკვე უეროვნო მანქურთის არძინბას ოცნება და აფხაზეთის ტერიტორია ქართველთაგან „განიწმინდება", უმალ შეივსება ეს ტერიტორია აფხაზთა მონათესავე ადიღეველთა მცირე რიცხვით, მაგრამ გაცილებით მეტი იქნება სულაც არა აფხაზური მასა — კაზაკები, საერთოდ რუსები, ჩეჩნები და სხვები. ეს იქნება ნახევარმილიონიანი ან გაცილებით მეტი რაოდენობის მოსახლეობა, რომელიც რუსულ ენაზე ილაპარაკებს და სრულიად ურცხვად დაირქმევს სახელს „აბხაზეცი". იარაღით მოსული მეკობრეთა და ყაჩაღთა ეს ბრბო, შემდგარი სხვადასხვა ეროვნებისგან, რომელმაც გაუგონარი სისასტიკით დაიკავა სხვისი სახლი, ქონება, ტერიტორია, რომელმაც იგრძნო ძალადობის გემო, მუდმივად ძალადობაზე იქნება დამყარებული. სულ მალე დაიწყება ჩეჩნებს, ადიღეველებსა და კაზაკებს შორის ბრძოლა ჰეგემონიისათვის და ამ ბრძოლაში ამოწყდება ის მცირერიცხოვანი აფხაზობა, რაც ომს გადაურჩა. აფხაზეთი იქნება მუდმივმოქმედი სისხლიანი წყლული, მუწუკი პლანეტის რუკაზე, ტერორისტებისა და ათასგვარი ნაძირალების ბუდე, რომელსაც არც ეროვნული იდეა, არც კულტურული მთლიანობა შეაკავებს.

აფხაზი ერი აღარ იარსებებს, რადგან მას გამოეცლება ერთადერთი ეროვნული იდეა, რომელიც აერთიანებდა და რაღაც ნიშნით გამოარჩევდა აფხაზეთის დანარჩენი მოსახლეობისაგან. ეს იდეა, როგორც აღვნიშნეთ, არის ქართველთა სიძულვილი, რომელიც დაკარგავს აქტუალობას და დღევანდელი აფხაზი ერი შეწყვეტს არსებობას, რადგან არავითარი ეროვნული ინტერესი მას აღარ ექნება!

შესაძლოა, აფხაზთა მეურვეები კარგად ხედავენ ამას, მაგრამ მათ, ცხადია, სულაც არ აინტერესებთ აფხაზთა არსებობა, მათთვის მთავარია საქართველოს შავიზღვისპირეთის ათვისება. მაგრამ ისინი ერთ მიუტევებელ შეცდომას უშვებენ თვით რუსეთის იმპერიის ინტერესთა თვალსაზრისით. რუსეთის იმპერიამ კავკასია იმით შეინარჩუნა, რომ მტკიცედ გადაუკეტა გზა შავი ზღვისკენ და ამის საშუალებით ევროპისა და მცირე აზიისაკენ. იგი აფხაზეთის დაკავებით და, შესაძლოა, სამეგრელო-გურიისა და აჭარის სანაპიროებზე კონტროლის დაწესებით ერთგვარ რუსულ „ტომარაში" მოაქცევს ამიერკავკასიას, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაზე საამისოდ ადრე იზრუნა, როცა ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო ნოვოროსიისკი-ტუაპსე-სოჭის ზოლი და მუსრი გაავლო ადგილობრივ მოსახლეობას. ამით მან საიმედოდ ჩაკეტა შავ ზღვაზე გასასვლელი დერეფანი. მაგრამ ახლა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფით რუსეთი თავისდაუნებურად უხსნის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს ახალ დერეფანს! ნუ დაგვავიწყდება, რომ სოხუმზე კავკასიელ ხალხთა კონფედერაციას პრეტენზიები აქვს და თავის დედაქალაქად გამოაცხადა. რუსეთი იძულებული იქნება დაუთმოს ეს „ახირება" კონფედერატებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკები ერთი-მეორის მიყოლებით გავლენ რუსეთის შემადგენლობიდან, ამას კი წინ ველარ აღუდგება რუსეთი, რადგან საქმე ექნება ერთიან მუსლიმურ ზოლთან — შუა აზიიდან დაწყებული აფხაზეთის ჩათვლით. რუსეთის იმპერიული ძალები თვითონ მიისწრაფვიან უზარმაზარი „დერჟავიდან" მოსკოვის „კნიაჟესტვასაკენ".

ჩვენ გადაჭარბებული წარმოდგენა გვაქვს ხოლმე რუსეთის „შორსმჭვრეტელურ" პოლიტიკაზე. გვავიწყდება, რომ ეს არის ძალის პოლიტიკა, რომელიც დღეს კარგად „მუშაობს", მაგრამ საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს მომავალში. აფხაზეთი რუსეთისთვის ის „დანაელთა ძღვენია", რომელმაც სულ მალე შეიძლება მიიყვანოს იმპერია დაშლამდე.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს არ არის შეღავათი და რუსეთის ჯიბრით როდი უნდა დავთმოთ აფხაზეთი, რომელიც სულაც არ არის ოდისევსის მიერ აგებული ხის ცხენი, არამედ საქართველოს სისხლი და ხორცია.

ჩვენთვის იმთავითვე იყო ცნობილი და, რაც დრო გადის, უფრო ნათელი ხდება, რომ რუსეთის იმპერიის ცენტრში მუშავდებოდა საქართველოს დამორჩილების სხვადასხვა ვარიანტი. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, არამედ ზესაიდუმლო ორგანიზაცია — არმიის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო, რუსული აბრევიატურით — „გრუ". დაიშალა კომპარტია, მოდერნიზაცია განიცადა სუკმა, მაგრამ არაფერი შეხებია და კვლავ მოქმედებს „გრუ". ვისაც ვიქტორ სუვოროვის წიგნი „აქვარიუმი" წაუკითხავს, იცის, რა ორგანიზაციაც არის ეს. ყოფილი რუსი მზვერავის, რომლისთვისაც „სუვოროვი", ეჭვი არ მეპარება, ფსევდონიმია (სხვაგვარად მას არავინ აცოცხლებდა), ეს წიგნი ნამდვილად შემზარავი ისტორიული დოკუმენტია, ძირფესვიანად რომ აჩენს ბოროტების იმპერიის ამ დაუნდობელ, საზარელ მექანიზმს, სადაზვერვო სამმართველოში მუშაობენ ისეთი მაღალი დონის პროფესიონალები, რომ სასაცილოდაც არ ჰყოფნით სხვა საიდუმლო სამსახურის მუშაკთა დონე. სადაზვერვო სამსახურიდან დეზერტირობა, მითუმეტეს ღალატი გამორიცხულია, უფრო მეტიც, უნებლიე შეცდომაც კი მზვერავს სიცოცხლის ფასად უჯდება. ამიტომ ჰქვია ვ. სუვოროვის წიგნს „აკვარიუმი", იქ რომ არსება მოხვდება, უკან ცოცხალი ვერ გამოვა. მთავარი ის არის, რომ „აკვარიუმი" მუშაობს იმის მიუხედავად, თუ ვინ არის ქვეყნის სათავეში, მისთვის ერთია ბრეჟნევი, გორბაჩოვი, ელცინი, რუცკოი თუ ხასბულატოვი. მან იცის თავისი საქმე. იცის, რომ უნდა ემსახუროს იმპერიის ძლიერებას და ამისთვის არ ერიდება არც ძლიერთ ამა ქვეყნისათა. ყველას თავისი კონკრეტული ამოცანა და კონკრეტული საიდუმლო აქვს და არავინ იცის, სად იკვეთება ეს დეტალები, რომელ ერთიან ბანკში იყრის თავს და რა მანქანებით გამოდის იქიდან მზა რეცეპტები, დავალებები, გეგმები.

„გრუს" აგენტები მთელს მსოფლიოში არიან მოფენილნი, ისინი ყოველ საელჩოში არიან მოკალათებულნი და ელჩმა არც კი იცის, რას აკეთებს „მისი თანამშრომელი", შესაძლოა, მის წინააღმდეგაც კი. ასე რომ, არძინბას ან გამსახურდიას რუსი თუ ჩეჩენი „მეგობარი" თუ „მრჩეველი" ან ამ ორგანიზაციის აგენტია, ან მის მიერ „ცენტრში" გაგზავნილი ცნობები მუშავდება „გრუს" კომპიუტერებში.

ერთიანი ცენტრის არსებობა დასტურდება საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ძალების სინქრონულობით. ყოველთვის არ მოაქვს მას ჩვენი მტრისთვის სასურველი შედეგი, რადგან გაანგარიშებული ათასი ვარიანტის გარდა ცხოვრებამ შეიძლება ამოტივტივოს ათასმეერთე ვარიანტი. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს 1993 წლის სექტემბრის შუა რიცხვები, როცა ყველაფერი იყო მზად სახელმწიფო გადატრიალებისათვის. მაგრამ მტრებმა ვერ გაითვალისწინეს ერთი დეტალი, ვერ შეაფასეს სახელმწიფოს მეთაურის ვაჟკაცობა, რომელმაც უყოყმანოდ განაცხადა თავისი გადადგომის შესახებ, რამაც გამოიწვია მოსახლეობის არნახული მობილიზაცია, რაც სრულიად შეუძლებელს ხდიდა სახელმწიფო გადატრიალების შესაძლებლობას. ამით დამფრთხალი პოლიტიკური ძალები, რომელნიც პირს აწკაპუნებდნენ გემრიელი სალაფავის მისართმევად, ისევ ჩრდილს მიეფარნენ.

იმპერიის ცენტრმა დაამუშავა მსგავსი სცენარები საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის. სომხეთ-აზერბაიჯანის ომი, თუ რუსეთის ფაქტორს გამოვრიცხავთ, სრულიად გაუგებარი იქნება. შეუძლებელია, რაგინდ გმირი მებრძოლები ჰყავდეს, სომხეთმა დაიპყროს აზერბაიჯანის ლამის ნახევარი, რომლის მოსახლეობა თითქმის ორჯერ მეტია, მატერიალური და, პირველ ყოვლისა, ენერგეტიკული რესურსები ამოუწურავი, ორი უზარმაზარი უშუალო მეზობელი — თურქეთი და ირანი მისი მხარდამჭერია. სომხეთი ჩაკეტილი სივრცეა, გრამი საკუთარი ბენზინი არა აქვს, როგორღა აღწევს ასეთ წარმატებებს თანამედროვე ომში? საიდან „შეიძინა" ამდენი იარაღი, როცა ნავთობით გაძეძგილმა აზერბაიჯანმა ეს ვერ შეძლო? აზერბაიჯანს რუსეთისადმი საყვედური არ დასცდენია, სომხეთი კი რატომ იტყვის, რუსეთი გვეხმარებაო! ცენტრმა ესეც არ მიიჩნია საკმარისად, ვინმე პოლკოვნიკი ჰუსეინოვი აუჯანყა გაგანია ომში ჩართულ აზერბაიჯანს, რომელიც თავისი „ჯარით" ბაქოს მიადგა. ამან სახელმწიფო გადატრიალება გამოიწვია და ჰუსეინოვმა, რომელმაც კრემლის დავალება შეასრულა, თავისი მისია დამთავრებულად ჩათვალა და პოლიტიკური ასპარეზიდან გავიდა. ამას კი მაშინვე მოჰყვა აზერბაიჯანის შესვლა „ესენგეში".

საქართველოშიც მსგავსი სცენარი გათამაშდა. რუსეთში სომხეთიდან გადაყვანილი ექსპრეზიდენტი გამსახურდია ჩაერთო საქმეში. მოსინჯული იქნა მისი ვოიაჟები უცხოეთში, ცხადია, რუსეთის რეაქციული ძალების დახმარებით, მაგრამ ამან სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. ვერ შეარყია „კანონიერმა" ანუ „რამკიანმა" პრეზიდენტმა ე. შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტი. პარალელურად საქართველოში დაიწყო ტერორისტული და დივერსიული აქტები, რომლის ერთ-ერთ პოლიგონად გადაიქცა აფხაზეთიც. არძინბამ შესანიშნავად იცოდა, რომ ეს ხდებოდა აფხაზეთის ომის პროვოცირებისათვის, იგი ამ მხრივ კარგად იყო ინფორმირებული ცენტრიდან და ამიტომ არა თუ პროტესტს აცხადებდა საქართველოდან შემოსული დივერსიული და ტერორისტული ჯგუფების მიმართ, არამედ ხელსაც კი უწყობდა მათ, რომ სარკინიგზო ბლოკადაში მოექციათ საქართველო. იმპერიისთვის სასურველი ომი დაიწყო. ამოქმედდა თითქოს იმპერიის საწინააღმდეგოდ არსებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია — მთიელ ხალხთა კონფედერაცია, ამუშავდა მოსკოვში „აფხაზეთის წარმომადგენლობა" (ფაქტობრივად არარსებული ქვეყნის საელჩო!) „მოხალისეთა" პუნქტები რუსეთში, სათანადო განკარგულებები მიეცათ ცალკეულ საარმიო ნაწილებს და რუსეთმა დაიწყო ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ აფხაზური დროშის ქვეშ.

დაიდო სამი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და სამივეში შუამავლობა იკისრა ხელშეკრულების უპირველესმა მოწინააღმდეგემ — რუსეთმა. სამივეჯერ აფხაზთა მხარემ დაარღვია იგი და მხოლოდ მესამედ, რაკი მშვიდობის დამყარებაში გაეროს მეთვალყურეებიც მონაწილეობდნენ, რუსეთმა აღიარა, ვინც იყო დამნაშავე და მოფერებით ყურიც კი აუწია „ცელქ" პარტნიორს.

გადამწყვეტ მომენტში რუსეთმა ისევ გამოიყენა გამსახურდიას ფაქტორი. ავიაგამანადგურებლების ესკორტით ჩამოაცილა სამეგრელოში ექსპრეზიდენტი, რათა ქართული ჯარებისათვის ზურგიდანაც ჩაეცა მახვილი. მას აქაც ეგულებოდა ქართველი ჰუსეინოვი — „პოლკოვნიკი" ქობალია.

რატომ არ ვამბობდით აქამდე სიმართლეს, რატომ არ ვამხელდით რუსეთის აგრესიას, რატომ მივანიშნებდით ორ რუსეთზე — დემოკრატიულ რუსეთზე, რომელიც ჩვენს მხარეზეა და რეაქციულ, რევანშისტულ, იმპერიულ რუსეთზე, რომელიც ჩვენ გვებრძვის? (ამ ბოლო დღეების მოვლენებმა დაამტკიცა ორი რუსეთის არსებობა). რატომ არაფერს ვამბობდით იმ სამშობლოს მოღალატეებზე, რომელნიც გამსახურდნენ რუსეთის იმპერიაში და მის საქმეს აკეთებდნენ? სწორი იყო თუ არა ასეთი პოლიტიკა?

რა თქმა უნდა, სწორი იყო. ნურც ერთი რადიკალი პოლიტიკოსი, რომელიც რუსეთის იმპერიულ ზრახვებს იმთავითვე „კითხულობდა", ნუ იფიქრებს, რომ მან უკეთ იცის რუსეთი, უკეთ იცნობს მის აშკარა თუ ფარულ დინებებს, ვიდრე ედუარდ შევარდნაძე, მაგრამ თუ იგი აქამდე თავს იკავებდა ნამდვილი დამნაშავის დასახელებისგან, თუ იგი იჩენდა ზედმეტ სიფრთხილეს სამშობლოს მოღალატეებისადმი, ამას იმიტომ აკეთებდა, რომ არ უნდა მოესპო ადამიანს უკან დახევის საშუალება, არ უნდა გადაეწვა ხიდი, რომელიც მასთან გააკავშირებს. საქმე ეხებოდა ჩვენს უშუალო დიდ მეზობელს, რომელსაც არავინ გამოგვიცვლის, საქმე ეხება ჩვენს თანამემამულეებს, რომელთაც ხვალაც ჩვენთან უნდა იცხოვრონ. არ უნდა დაკარგულიყო ის მცირე შანსიც, რომელიც ხელს შეუწყობდა დაახლოებას. ამას სჭირდებოდა დიდი მოთმინება და დიდი ვაჟკაცობა, ჩვენი ბრალი არ არის, რომ არც გარეშე, არც შინაურმა მტერმა არ გამოიყენა ეს შანსი, თვითონ გადაწვა ხიდი.

და უკვე ითქვა სიმართლე! ო, როგორ ემცხეთა ეს სიმართლე ჩვენს დუმილს მიჩვეულ რუსეთს! გაოგნებული ვართო, „ნედოუმენიეს" განვიცდითო, ჩვენ, მშვიდობისმოყვარეებს რას გვაბრალებენო!

არაფერს გაბრალებთ, ბატონებო! ვიცით, რა მშვიდობის ბურჯები და „ინტერნაციონალური ვალის" შემსრულებლები ბრძანდებით. მთელმა მსოფლიომ იცის! მაგრამ მსოფლიოც აქამდე დუმდა, რაკი ჩვენ არ ვიღებდით ხმას. არ არის გასაკვირი, რომ სხვა სახელმწიფოები მორიდებით შეგახსენებდნენ შუამავლის მისია ბოლომდე შეასრულეთო. ჩვენი მოთმინებით, ჩვენი გმირების სისხლის ფასად მივაღწიეთ იმას, რომ ბოლომდე აეხადა ფარდა რუსეთის იმპერიულ გეგმებს, რომელსაც ელცინიც აქამდე ვერ აღუდგა წინ, დემოკრატია დღემდე მძევლად ჰყავდათ რუსეთის იმპერიულ ძალებს. ღმერთმა ქნას, უკანასკნელი დღეების მოვლენებმა სასიკეთოდ შეაბრუნოს საქმე!

თქვე კაი დედმამის შვილებო, თუ არაფერ შუაში ხართ, საიდან ჰქონდა პატარა აფხაზეთის ნაწილს, მის ნახევარს იმაზე მეტი რეზერვები, ვიდრე დანარჩენ აფხაზეთს და მთლიანად საქართველოს? საიდან გაჩნდა უამრავი საწვავი, გემები, თვითმფრინავები, ტანკები, „გრადები", უახლესი ტექნიკა, სითბური რაკეტები, გამოულეველი ჭურვები და ტყვია-წამალი, რა მანდარინებით შეიძინა ეს მრავალმილიარდიანი ქონება არძინბამ? როგორ ჯობნა 80 ათასიანმა ხალხმა ხუთმილიონიან რესპუბლიკას? 80 ათასი აფხაზიდან ბრძოლის უნარიანი ყველა რომ ყოფილიყო — თოთო ბავშვიდან დაწყებული ასწლოვან მოხუცებამდე ამას ხომ ვერ შეძლებდა? ხალხის ამ მასიდან სინამდვილეში თუნდაც ხანშიშესულ მამაკაცთა და 15 წლის ბიჭების ჩათვლით ხომ სულ 10-15 ათასი კაცი თუ მოგროვდებოდა, რომელიც 35-ათასიან ქართულ პოლიციასაც კი ვერ გაუმკლავდებოდა? მაშ ვისი იმედით იბრძოდნენ ისინი? მონათესავე ტომების? როდის აქეთ გახდნენ კაზაკები, მოსკოველი თუ ნოვოსიბირსკელი რუსებიც მათი ნათესავები? და გჯერათ თქვენ, რომ ისინი აფხაზთა საქმეს აკეთებდნენ საქართველოში?

მაშინ, ჩვენო კეთილო მეზობლებო, თუ ეს იარაღი, ეს თქვენი მოქალაქეები თქვენი სურვილის წინააღმდეგ გამოჩნდნენ აფხაზეთში, რატომ არ დაგმეთ ერთხელ მაინც მათი საქციელი? რატომ არ დაუტატანეთ — „ჰაიტ, თქვე ყურუმსაღებო, თქვენ იქ რა გესაქმებათო?" მეზობელი ხომ მაშინვე გამორეკავს სხვის ბოსტანში გადაპარულ ღორებს და თუ უღელს არ დაადგამს, ერთ-ორ ჭიტლაყს მაინც ხომ ამოჰკრავს, თუნდაც სხვა მეზობლების დასანახავად?

თქვენ ეს არც ერთხელ არ დაგიგმიათ! ჩვენ მხოლოდ შუამავლები ვიყავით, მშვიდობის გარანტები როგორ ვიქნებოდით, განაცხადა თქვენმა ელჩმა. განა თქვენ გესწავლებათ, როგორ დაიცვათ საზღვარი? რატომ არ ჩაკეტეთ საქართველოსთან საზღვარი დროზე? თურქეთთან ახლაც დგას თქვენი სასაზღვრო ჯარი. ღმერთმა დაგვიფაროს და რომ მოვინდომოთ თურქეთში ჩვენი ჯარის და სამხედრო ტექნიკის გადატანა, თქვენ თუნდაც ერთ ქართველს გაატარებთ საზღვარზე? მაშ რატომ უშვებდით ათასობით თქვენს მოქალაქეებს და იარაღს ხმელეთით, ზღვიდან, ჰაერიდან? თქვენთვის სულ იოლი იყო შუამავლობიდან მშვიდობის გარანტად ყოფნა. არც ერთი ჯარისკაცი ამისთვის არ დაგჭირდებოდათ. საკმარისი იყო თქვენს მეთვალყურეებს თვალი არ დაეხუჭათ იმაზე, რომ აფხაზეთში დაიმალნენ თქვენი სამხედროები, გადამალეს სამხედრო ტექნიკა, მაშინ, როცა ძალიან ყოჩაღად ირჯებოდით იმისთვის, რომ ქართული ჯარები გაეყვანათ კონფლიქტის ზონიდან. თქვენ არ ჩაკეტეთ საზღვარი ფსოუსთან, თქვენი პროპაგანდა ყოველთვის ქართველთა წინააღმდეგ იყო მიმართული, თქვენი პარლამენტი უხეშად ერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში. რომელი ერთი ვთქვა? ახლაც, როცა გაირეკა ეს კომუნისტურ-ფაშისტური პარლამენტი, მის წინააღმდეგ მიმართულ მრავალ ბრალდებას შორის ერთი სიტყვითაც არ გახსენებიათ, რომ პარლამენტი ასე უხეშად ერეოდა დამოუკიდებელი ქვეყნის — საქართველოს საშინაო საქმეებში.

დღეს ჩვენი იარაღი მხოლოდ სიმართლეა. სწორად ბრძანა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ: ჩემი მოვალეობაა, რომ მსოფლიომ სიმართლე იცოდესო. ჩვენ ყველამ უნდა შევუწყოთ მას ხელი, რომ ეს დიდი მისია შეასრულოს. იგი ახალი მსოფლიოს ერთ-ერთი ხუროთმოძღვარია. ჩვენ უნდა ვიამაყოთ იმით, რომ ცივი ომის დამთავრებაში, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირების მოხსნაში, აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლებაში, საბჭოთა იმპერიისა და სოციალისტური ბანაკის დაშლაში მას დიდი წვლილი მიუძღვის. ახლა ღმერთმა სხვა მისია დააკისრა: გამოაფხიზლოს დამშვიდებული და ეიფორიაში მყოფი მსოფლიო და დაანახოს ახალი საშიშროება, რომ წყლის ზედაპირზე ამოცურებულ იმპერიულ რვაფეხას, რომელიც თავის დამღუპველ საცეცებს არ აცილებს ახლად შექმნილ სახელმწიფოებს, ვიდრე მაცოცხლებელ წყალს და ჟანგბადს მიაწვდიან უცხოელი ინვესტორები, უნდა წააცალონ საცეცები! თორემ შორს არ იქნება ის დრო, როცა მოღონიერებული იმპერია კვლავ შიშის ზარს დასცემს მსოფლიოს.

მსოფლიოს მეოცე საუკუნის ბოლოს ემუქრება კომუნისტურ [illegible] აღმოცენებული ფაშიზმი, გაცილებით უფრო საზარელი. აფხაზეთია „სათბური" ამ ფაშიზმის პირველი ყლორტებისა.

ღმერთმა მძიმე ჯვარი დააკისრა საქართველოსაც და მის მეთაურსაც. ჩვენ ერთად უნდა ვზიდოთ ეს მძიმე ჯვარი და მაშინ ჩვენთან იქნება ღმერთი. ყველაფერი გავაკეთოთ საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე ამ დიდი მისიის შესასრულებლად!

ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტიკური მიმომხილველი

საერთაშორისო ცხოვრება

შემოდგომა მძიმე და სისხლიანი

მაშინ, როდესაც გაუთავებელი პოლიტიკური კრიზისის მაგიდასთან ძლივს გაჩნდა მისი გადაჭრის უღიმღამო მცირე შანსი, ვითარება უწესრიგობითა და ძალმომრეობით შეიცვალა. მთელმა კვირადღემ კინოსურათებში ნანახი ბოლშევიკური რევოლუცია ცხადად აქცია. 10.000-კაციანი დაუნდობელი ბრბო ყველაფერს აკეთებდა ბირთვული იარაღით დახუნძლული უზარმაზარი რუსეთის მმართველობის სადავეების ხელში ჩასაგდებად. ერთი შეხედვით დისციპლინირებული და სალი კლდესავით მოუდრეკელი პოლიციელები დამფრთხალი კურდღლებივით გაურბოდნენ რკინის ხელკეტებითა და ქვებით შეიარაღებულებს.

ამ უმძიმესმა კვირადღემ შიშის ზარი დასცა არა მარტო მოაზროვნე მოსკოველებს, არამედ მსოფლიოს საზოგადოებრიობასაც. მოაზროვნეს იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ დედაქალაქის მკვიდრთა დიდი ნაწილი ინდიფერენტულად, ნაკლებად ღელვით შეხვდა სახელმწიფო გადატრიალების სისხლიან მცდელობას. პარლამენტის სიახლოვეს არსებული კიოსკები ვერ უმკლავდებოდა ლუდისა და „მარსის" შოკოლადების მსურველთა შემოსევას. მწვავე სეირის მაყურებელთა რიცხვმა მოლოდინს გადააჭარბა.

დასავლეთის პოლიტოლოგთა, რუს ჟურნალისტთა აზრით ხალხის გულგრილი დამოკიდებულება ამ გაუთავებელი პოლიტიკური კინკლაობის შედეგია, რასაც მალე [illegible] საბრძოლოსთვის ბრძოლა ჰქვია. ხალხს მობეზრდა დაპირისპირებული მხარეების მიერ ერთმანეთის გადამეტებული ლანძღვა, პურის რიგები, ქრონიკული უფულობა, კრიტიკა კრიტიკისათვის და არა საქმისათვის, ზოგ-ზოგთა „მერსედესებით" სრიალი, კანარის კუნძულებზე დროსტარება და მოსკოვის კვების პროდუქტებით გადატვირთული, მაგრამ ასტრონომიული სიძვირის მაღაზიათა დახლების ნერწყვმორეული მზერა.

„აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საზოგადოება იმ ზომამდე არ უნდა მიიყვანოს, რომ ექსტრემისტი ლიდერების იოლი სამართავი გახდესო", — ასე განაცხადა ცნობილმა რუსმა ჟურნალისტებმა „ოსტანკინოში" შეხვედრის დროს. უცხოეთის პრესაში არცთუ იშვიათად მოხვდება თვალს რუსეთის პრეზიდენტის კრიტიკას და არა მარტო მის, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კრიტიკასაც, რომელმაც დასაწყისში გადამჭრელი ზომების მიღების ნაცვლად ელცინს დემოკრატიული, პოლიტიკური გზით პრობლემების მოგვარებისკენ მოუწოდა.

ერთნი ადანაშაულებენ რუსეთის პრეზიდენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას კრიზისული ვითარების შექმნისათვის, რაც ელცინის მხრიდან განხორციელებულ სახელმწიფო გადატრიალებას მოჰყვა (ასე ახასიათებენ ისინი ელცინის ბრძანებულებას), მეორენი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ პრეზიდენტს ზედმეტად ლიბერალური მოქმედებისათვის, რამაც გაათამამა ულტრამემარცხენე ძალები და საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნა. აზრთა ასეთი სხვადასხვაობა კარგა ხანს გაჰყვება რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებას. მხოლოდ დრო, ისტორია განსჯის, თუ ვინ იყო მართალი.

ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ, როდესაც დაიწყო მწვავე დაპირისპირება პრეზიდენტსა და უზენაეს საბჭოს შორის, ნათელი იყო, რომ არბიტრის როლს არმია შეასრულებდა, ვინაიდან დემოკრატიული თვალსაზრისით უმწიფარ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში, არმია ისრუტავს ყველა პოლიტიკურ პროცესს, რასაც ადგილი აქვს საზოგადოებაში. დემოკრატიულ ქვეყნებში კი არმია პოლიტიკურ დისკუსიაში ერთვება მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეთა არჩევნებში მონაწილეობით. არმია გადამწყვეტ პოლიტიკურ როლს ასრულებს მხოლოდ იქ, სადაც საზოგადოება გახლეჩილია და ქაოსი მეფობს, და საკუთარი შეხედულებისამებრ ანიჭებს ძალაუფლებას ამა თუ იმ ბანაკს, ან თვითონ იღებს მას ხელში.

რუსეთის ორივე პრეზიდენტმა — არჩეულმა და დანიშნულმა არმიას მიმართა მხარდაჭერისთვის. რაც შეეხება არმიას, იყო ეჭვი და შიში მის ორ ნაწილად გაყოფისა. მხოლოდ გამთენიისას მოსკოვში შეყვანილ ტანკებს უნდა გადაეწყვიტა ტრაგიკულ ორთაბრძოლაში გამარჯვებული მხარის საკითხი. მძიმე სამხედრო ტექნიკის მოსკოვში გამოჩენას და თეთრი სახლის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას ნაკლებად ეშურებოდა დასავლეთის თვალში დემოკრატიის გზაზე გასული რუსეთის პრეზიდენტი, ვინაიდან ტანკებით დაწყებული დემოკრატია ეჭვში მოაქცევდა მას. — პრეზიდენტის ცნობილმა ბრძანებულებამ ისედაც კულმინაციამდე მიიყვანა ორ ბანაკს შორის დაპირისპირება, რასაც ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა დასავლეთში. მდგომარეობას ამსუბუქებდა მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტის მოწინააღმდეგეთა დაუფარავი ლტოლვა იმ სისტემის აღდგენისაკენ, რომელიც შიშის ზარს სცემდა მსოფლიოს. აი, რას წერდა ფრანგული „კოტიდიენ დე პარი": „რაც მოსკოვში ხდება, არის ბრძოლა ახალსა და ძველს შორის. ახალი ესესაა ფეხს იდგამს. რუსეთში ადგილი აქვს ერთის მხრივ ფრაგმენტულ, კარიკატურულ დემოკრატიას, მეორეს მხრივ კი ძველისადმი ნოსტალგიას, რომელმაც კარგა ხანია მორალური და ისტორიული თვალსაზრისით გაკოტრება დაიმსახურა. კრიზისი, რომელიც მოსკოვში დაიწყო, ანარეკლია იმ უწესრიგო მოძრაობისა, რომელიც წარმოიშვა ყოფილ კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში, საბჭოთა დიქტატურის ნგრევის შედეგად".

გამაფრთხილებელი იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის უორენ კრისტოფერის განცხადებაც: — თუ რუსეთის პრეზიდენტი ძალას გამოიყენებდა თეთრი სახლის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების თეთრი სახლის რეაქცია ნაკლებად პოზიტიური იქნებოდა; მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის თეთრი სახლი გონივრულად მოიქცეოდა, არ შეაიარაღებდა „ბოევიკებს" და არ მოუწოდებდა ხალხს ხელისუფლების დამხობისკენ, დანიშნულმა პრეზიდენტმა და პარლამენტის სპიკერმა ძალისმიერი ნაბიჯი გადადგეს, რასაც არჩეული პრეზიდენტის გადაწყვეტილება მოჰყვა საომარ კონფლიქტში არმიის ჩაბმის თაობაზე.

თეთრი სახლის რეაქციული გადაწყვეტილება ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, ნაკლებად შეიძლება მიეწეროს უძილო ღამეების, არჩეული პრეზიდენტის განკარგულებიდან გამომდინარე დისკომფორტით (უწყლობა, ელექტროენერგიის გამორთვა და სხვა) გამოწვეულ მოუთმენლობას. [illegible] პრესა ხელისუფლების ერთიანობას მიაწერს კვირადღის განმეორებაში გამოხატული „ბოევიკების" მოსკოვის ქუჩებში თარეშს. ფრანგული „ლიბერასიონი" აღნიშნავდა, რომ ხელისუფლება არაფერს ღონობდა „ბოევიკების" საალაგმავად. ასეთმა „სირბილმა" მოსკოვში შეიძლება ხელი უბიძგოს ვინმეს ანალოგიური ამბოხების მოწყობაში.

„პოლიტიკაში ბუფონადას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რამეთუ კომედია რამდენიმე წუთში ტრაგედიად გადაიქცევა, როცა საქმე ხელისუფლებას ეხება, საჭიროა სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედება. ვინც ამას გააკეთებს, ძალაუფლებაც მას დარჩება", — წერდა გაზეთი „ფიგარო". გაზეთი გამოთქვამს არცთუ უსაფუძვლო შიშს, რომ დასავლეთმა ყურადღებით უნდა ადევნოს თვალი რუსეთში მიმდინარე მოვლენებს, ვინაიდან მოსკოვის ამბავს შეიძლება მოჰყვეს [illegible] რუსეთში.

ქარიზმულ გადაწყვეტილებათა რიცხვს. რუცკოისა და ხასბულატოვის წინა დღეების განცხადებებში სულაც არ იგრძნობა უმწეობა, საკუთარი ძალების შეუთავსებლობა. სწორედ ამ ძალებით დაიმედებულებმა მოუწოდეს ხალხს ქალაქის მერიის, ოსტანკინოს ტელეცენტრის, კრემლის აღებისაკენ. ეს კანონით სახელმწიფო გადატრიალებად კვალიფიცირდება, რაც სასჯელის უმაღლეს ზომას ითვალისწინებს. და რა გასაკვირია, რომ ბარომეტრის ისარი არჩეული პრეზიდენტის მხარეს გადახრილიყო. დასავლეთის ქვეყნების ლიდერებმა დაუყოვნებლივ დაუჭირეს მხარი ელცინს, რითაც კვლავ ერთხელ ყვარი უთხრეს ძველი რეჟიმის შემობრუნების მსურველებს.

1993 წლის ოქტომბერი ნაკლებად ჰგავდა 1991 წლის აგვისტოს. მაშინ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მხარის დასაჭერად დასავლეთიდან გაკეთებული განცხადებები შენიღბული კინოკადრებივით იყო. „რუცკოიმ და ხასბულატოვმა დაუფიქრებლად გაათამაშეს თავიანთი უკანასკნელი კარტი — ძალა, და სწორედ ამიტომაც ისინი არიან პასუხისმგებელნი მოსკოვში დატრიალებულ ამბებში", — წერდა ფრანგული „კოტიდიენ დე პარი". მაგრამ რუცკოი და ხასბულატოვი ახალბედები არ არიან პოლიტიკაში და ნაკლებად დასაჯერებელია, რომ დაუფიქრებლად გაათამაშეს საბოლოო კარტი. ეს იყო საკმაოდ მოფიქრებული და დაგეგმილი ოპერაცია, რომელსაც რეგიონებში უნდა მოჰყოლოდა. დანიშნულმა პრეზიდენტმა ისეთი მთავრობა ჩამოაყალიბა, სადაც ნამდვილი, ცრუ და სხვადასხვა ერთმანეთს გადაეჭდო. „დემოკრატი — კონსერვატორების" ძირითადი ძალა კომუნისტები, ნეოფაშისტები, ულტრანაციონალისტები, მონარქისტები აღმოჩნდნენ. დასავ-

ურთულეს და უმწვავეს საკითხად რჩება მოსკოვისა და რეგიონების ერთობა. რუსეთის ისტორიაშიც ჰქონდა ადგილი მთავრების მიერ რუსეთის დანაწევრებას, ძველის აღდგენას და გაერთიანებას ორი საუკუნე მოუნდა. განა ისინი, ვინც რუსეთი გააერთიანა, არ „გადაბრუნდებიან სამარეში", როდესაც შეიტყობენ, რომ მე-20 საუკუნის მიწურულს მათი შთამომავლები დაქუცმაცების ბაცილით არიან დაავადებულნი. დემოკრატები თუ რეაქციონერები ხშირად აღნიშნავენ, რომ მე-20 საუკუნეში რუსეთმა ვერა და ვერ მოიშორა დაქუცმაცების ვირუსი. ჯერ იყო და დაინგრა რუსეთის იმპერია იმისათვის, რომ ის იყო ხალხთა საპყრობილე; შემდეგ საბჭოთა კავშირი — ტოტალიტარიზმისა და იდეოლოგიის თვითნებობის ბუდე, თუ რატომ ემუქრება რუსეთის ფედერაციას იგივე ბედი, არავის ძალუძს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ნათელია, რომ დღეს რეგიონების როლი იზრდება და აქედან გამომდინარე არის საფრთხე, რომ რეგიონულმა ელიტამ ცენტრის სისუსტით დრო იხელთოს და საკუთარი ეგოისტური მიზნები განახორციელოს. თუკი დაქუცმაცების პროცესი გაღრმავდება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბუტროს ღალისა არ იყოს, მსოფლიოში 180-200 სახელმწიფოს ნაცვლად საუკუნის ბოლოს 500-600 სახელმწიფო იქნება.

რეგიონების დაპირისპირებამ და რუსეთის ფედერაციის დაშლის პერსპექტივამ ერთობ შეაფიქრიანა მოსკოვი. გარკვეული ძალები არა მარტო რუსეთის ფედერაციის განმტკიცებას, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის აღდგენასაც ლამობენ. 4 ოქტომბერმა გარკვეულწილად თავი წააცალა საბჭოთის აღდგენის მოტრფიალეებს, მაგრამ ამას ღრმა მეტასტაზები აქვს და არავინ იცის თავს როდის იჩენს. დემოკრატების გარკვეულ ნაწილსაც დიდი სურვილი აქვს იმისა, რომ თუ საბჭოთა კავშირის აღდგენა არ მოხერხდება, იქნებ მონამორჩილი ბუფერული ქვეყნები მიიღონ შედეგად. ამის რეალური დადასტურება იყო ერთიანი სამანეთო ზონის შექმნა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. თუ რას ნიშნავს ერთიანი სამანეთო ზონა, ამაზე რუსეთის ვიცე-პრემიერი სერგეი შახრაი წერდა: „ნუ გვეშინია რუსეთში სეპარატიზმის საფრთხის, ვიდრე რუსული მანეთი მუშაობს და ბიუჯეტი საერთო რჩება, ყველა შანსია რუსეთის ფედერაციის შენარჩუნებისა".

რუსეთის ამ ურთულესი პროცესების შესახებ თითქოს წინასწარმეტყველებდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოს მეთაური. აფხაზეთის სეპარატიზმიდან გამომდინარე მან არაერთხელ გააფრთხილა მოსკოვი, რომ სეპარატიზმის ბაცილა უსწრაფესად ვრცელდება და არა მარტო პატარა საქართველოსთვის შეიძლება მოიტანოს მოსალოდნელი შედეგები, არამედ უდიდესი რუსეთისთვისაც. სამწუხაროდ, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ერთმა ადამიანმაც [illegible] იჩინა თავი — სხვისი აზრების უგულებელყოფამ, [illegible]. დღეს, როდესაც რუსეთი ასე მტკივნეულად აღიქვამს მოსალოდნელ სეპარატიზმს, მისმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, დემოკრატიულმა ძალებმა გაგებით უნდა განიხილონ საქართველოს დანაწევრების საკითხი.

3-4 ოქტომბრის სისხლიანი მოვლენების შემდეგ რუსეთის მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა შვებით ამოისუნთქა. ბევრს იმედი აქვს, რომ კონსერვატორი მოწინააღმდეგეების მიმართ სამხედრო აქციის ჩატარების შემდეგ დასრულდება პოლიტიკური ხელისუფლების უუნარობა. მაგრამ ამ ოპტიმიზმთან ერთად მათ მიაჩნიათ, რომ რუსეთმა საშინელი ხარკი გაიღო. მათ შესაძლო მოსალოდნელ საფრთხედ აღიარებენ კონსერვატორთა ახალი შემოტევის სახით რასაც შეიძლება მოჰყვეს დემოკრატიზაციის პროცესის მრავალი წლით გადავადება.

და ბოლოს არ შეიძლება არ გაიხსენო რუსეთის პრეზიდენტის განცხადება — შემოდგომა მძიმე იქნება და ყველაფერი მაშინ გადაწყდებაო. ხელისუფლების მიზნით ბევრი გაკეთდა, რამაც რუსეთის საზოგადოებრიობის გარკვეულ ნაწილში სხვა აზრი წარმოშვა. ამას წინათ ტელეკომპანია „ოსტანკინოში" ცნობილი რუსი ჟურნალისტების შეხვედრის დროს გარკვევით აღინიშნა, რომ საზოგადოება ვერ იარსებებს ზომიერი ოპოზიციის გარეშე, რომ ჭეშმარიტება კამათში, აზრთა სხვადასხვაობაში, შეჯიბრში იბადება. მათი აზრით კაცი, რომელიც კონსტიტუციას გადათელავს, ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლესაც აღარ დაინდობს. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვაზე რიტორიკული განცხადებების ნაცვლად ყველამ ნამდვილად უნდა სცეს პატივი საკანონმდებლო აქტებს, ვიდრე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, დღეს დამოუკიდებელი ქვეყნების, საზოგადოებრივ აზრში იარსებებს — „რაც სხვისთვის არ შეიძლება, ჩვენთვის შეიძლება"-ს პრინციპი, დემოკრატია მხოლოდ ტკბილ ოცნებად დარჩება.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში

არ შეიძლება გაკვირვება არ გამოიწვიოს იმან, რომ თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი შეხვდა ჩეჩნეთის პრეზიდენტს ჯოხარ დუდაევს, რომელმაც განაცხადა, რომ ჩეჩნეთი გამოვიდა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობიდან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთის მხარეს არაერთგზის არწმუნებდა თურქეთის მთავრობა, დუდაევთან საქმეს არ დავიჭერთო. ეს განაცხადა ბრიფინგზე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და პრესის დეპარტამენტის დირექტორმა გრიგოლ კარასინმა.

ანკარა, თქვა მან, არაერთხელ დაგვპირდა, რომ თავის ურთიერთობაში რუსეთის ფედერაციის სუბიექტებთან იმოქმედებდა მხოლოდ მოსკოვის მეშვეობით და არ გადადგამდა არავითარ ნაბიჯს, რომელიც რუსეთის მხარის შეშფოთებას გამოიწვევდა.

ამასთან დაკავშირებით, თურქეთის მოსკოვის ელჩი მიიწვიეს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც მან განაცხადა, რომ ამგვარი შეხვედრები ამიერიდან აღარ მოხდება.

ეს ინციდენტი ჩრდილს არ მიაყენებს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების განვითარების პროცესს, რომელმაც ახალი იმპულსი შეიძინა რუსეთში თურქეთის პრემიერ-მინისტრის ტანსუ ჩილერის ამასწინანდელი წარმატებული ვიზიტის შედეგად, ხაზი გაუსვა გ. კარასინმა.

ლეფორტოვოს საგამოძიებო იზოლატორი

რუსეთის უშიშროების სამინისტროს ლეფორტოვოს საგამოძიებო იზოლატორის ექვს კამერაში არიან განაწილებული მოსკოვში სამხედრო ამბოხების მოწყობის ორგანიზატორები — ხასბულატოვი, რუცკოი, მაკაშოვი, აჩალოვი, დუნაევი, ბარანნიკოვი. როგორც 7 ოქტომბერს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო იზოლატორის უფროსმა იური რასტვოროვმა აცნობა რუსი და უცხოელი ჟურნალისტების ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ იტარ-ტასის კორესპონდენტებიც, „დაკავებულები ფიზიკურად თავს ნორმალურად გრძნობენ და იზოლატორში ყოფნის პირობების მიმართ არავითარი პრეტენზიები არ წაუყენებიათ".

როგორც მან თქვა, პუტჩის ლიდერებიდან არც ერთი არ ყოფილა დაჭრილი და ტრავმირებული და არ საჭიროებდა სამედიცინო დახმარებას. იმავე საღამოს, განაცხადა მან, პუტჩის მეთაურებთან მუშაობა დაიწყეს გამომძიებლებმა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს (1880 წელს) სამხედრო დამნაშავეებისათვის აგებული ლეფორტოვოს იზოლატორი გათვალისწინებულია 500 კაცისათვის. იმ სისხლიან საღამოს აქ მოიყვანეს „თეთრ სახლში" დატყვევებული დაახლოებით 160 კაცი.

ჟურნალისტებმა შეძლეს დაეთვალიერებინათ რვამეტრიანი თავისუფალი კამერა, რომელიც ზუსტი ასლია იმათი, რომლებშიც მეამბოხენი ჰყავთ გამომწყვდეული. აქ არის რადიომიმღებები. დილაობით კი ახალი გაზეთები მოაქვთ.

ლეფორტოვოდან, სადაც თავის დროზე დამწყვდეული ჰყავდათ ბოროტი დამნაშავეები, ჯაშუშები, ბანდიტები, ჯერ არავინ გაქცეულა. იზოლატორის დაცვის კომპიუტერული სისტემა საჭიროების შემთხვევაში მთლიანად ახდენს ყველა შესასვლელ-გასასვლელის ბლოკირებას. ლეფორტოვოში უარყვეს ხმები იმის შესახებ, თითქოს იზოლატორიდან თავს დაიხსნენ 4 ოქტომბერს საღამოს.

„ეს იყო სასტიკი პროვოკაცია"

ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სამხედრო საბჭოს განცხადება

8 ოქტომბერს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბში გაიმართა პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის თანაშემწემ პირად შემადგენლობასთან მუშაობაში გენერალ-მაიორმა ვასილ ბელიჩენკომ თქვა, რომ ბოლო დროს დასავლეთ საქართველოში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სამხედრო საბჭომ მიიღო განცხადება.

მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ 4 ოქტომბერს სამსახურებრივი დავალების შესრულებისას რუსეთის არმიის სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი [illegible] მოიმწყვდიეს და დაატყვევეს, როგორც დადგინდა, ლოთი ქობალიას შეიარაღებულმა ფორმირებებმა, ანუ ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა. ეს ჯგუფი შეპყრობის შემდეგ, როგორც უკვე დოკუმენტურად არის დადასტურებული, მხეცურად დახვრიტეს ქალაქ ზუგდიდში, მანამ კი სასტიკი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მათ.

ამასთან დაკავშირებით, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სამხედრო საბჭო, რომელიც უდიდეს აღშფოთებას გამოხატავს მათი სამხედრო მოსამსახურეების წინაშე ამ ბარბაროსული, ბოროტი დანაშაულის გამო, მოითხოვს, რომ [illegible]

ეს იყო [illegible] პროვოკაცია, [illegible] ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის [illegible]

[illegible]

[illegible] მოსახლეობასთან და არ ვუმხედრდებით ამ პროცესების კანონიერებასა თუ უკანონობაზე, ეს საქართველოს შინაური საქმეა, მისი ხალხის ნებაა. არ ვერევით არანაირ კონფლიქტში.

ჩვენ არა ვართ ამ კონფლიქტების მიზეზი. პირიქით, შეძლებისდაგვარად ვცდილობთ მათ თავიდან აცილებას, რაც ბევრს არ მოსწონს, იწვევს განრისხებულ რეაქციას. მაგრამ ტყუილად ცდილობენ ჩაგვითრიონ დასავლეთ საქართველოს ომში, არაფერი გამოუვათ. მათი ეს ცდა კიდევ ერთხელ ცხადყოფს ზ. გამსახურდიასა და მის მომხრეთა [illegible] ხასიათს, რომლებმაც თავად გააჩაღეს ეს ძმათამკვლელი ომი და ცდილობენ ჩვენს ჩათრევას მასში.

უპასუხა რა ჟურნალისტთა კითხვებს, გენერალ-მაიორმა აღნიშნა, რომ ამ დღეებში ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბის ხელმძღვანელობის სახელზე მოვიდა საქართველოს ექსპრეზიდენტის წერილი, რომელშიც იგი [illegible] თბილისის ახლანდელ ხელისუფლებას [illegible] უსაფუძვლო ბრალდებებს და მოითხოვს, რომ დასავლეთ საქართველოში მოქმედი გამსახურდიას მომხრეთა წინააღმდეგ [illegible] პროპაგანდისტული კამპანია, კერძოდ, ზვიად გამსახურდია [illegible] ინფორმაციის საშუალებათა ცნობებს იმის თაობაზე, რომ მის ერთგულ სამხედრო ფორმირებებში მსახურობენ რუსი, ჩეჩენი და სხვა დაქირავებულები.

ვასილ ბელიჩენკომ აღნიშნა, რომ [illegible] მოითხოვა, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის [illegible]

ინფორმაცია 93

სოხუმი. სოხუმში ინტენსიურად მიმდინარეობს ე. წ. „თურქმესხთა" შესახლება ქართველი მოსახლეობის მიერ მიტოვებულ ბინებში.

ზუგდიდი. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელმა ვ. გოგოლაშვილმა გვაცნობა, რომ აფხაზეთის მხარე ამ დღეებში აპირებს განახორციელოს გულრიფშის მაღალმთიანი რაიონების დაბომბვა. როგორც ცნობილია, ამ ტერიტორიაზე ამჟამად იმყოფებიან აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველები.

ცხინვალი. შეიქმნა ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისია, რომლის შემადგენლობაში 21 კაცი გაერთიანდა.

სრულიად ოსეთის სახალხო საბჭოს — „სტირ ნიხასის" თავმჯდომარემ მიხეილ გიოევმა მიმართვა გაუგზავნა ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხალხს. მასში ნათქვამია:

„ოსმა ხალხმა სწორი არჩევანი გააკეთა, როცა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ლუდვიგ ჩიბიროვი, ხოლო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ — გერსან ქუგაევი. „სტირ ნიხასი" მხარს უჭერს რესპუბლიკის ახალ ხელმძღვანელობას".

ქუთაისი. ქალაქის მერმა თ. შაშიაშვილმა განაცხადა, რომ ლტოლვილთა დასახმარებლად ქუთაისიდან მესტიის მიმართულებით 600 ავტობუსი და სატვირთო ავტომანქანა გაემგზავრა. გარდა ამისა, მზადაა რუსეთის 4 ვერტმფრენი. მოსალოდნელია აგრეთვე, რომ უკრაინა გამოგზავნის 24-30 ვერტმფრენს.

თ. შაშიაშვილმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მდგომარეობას საგრძნობლად გააადვილებდა ზუგდიდის გავლით დახმარების [illegible] ზონაში [illegible] ლტოლვილების ამ გზით გამ[illegible] მანძილს მნიშვნ[illegible] შეამოკლებდა, და რის [illegible] ადგილობრივი ხელ[illegible] არ იძლევა, რადგან, [illegible] ცნობილია, ზ. გამსახურდიამ მკაცრად გააფრთხილა ზუგდიდელები — ლტოლვილები არ დაიტოვოთ, თბილისსა და ქუთაისში გაუშვითო.

ჩვენ, განაცხადა ქალაქის მერმა, მზად ვართ მივიღოთ ისინი და დავეხმაროთ მათ.

ჭუბერი. ლტოლვილთა შტაბში გვაცნობეს, 7 ოქტომბერს სატვირთო მანქანებითა და ავტობუსებით სოფლიდან ევაკუირებულ იქნა 6.000 ლტოლვილი. გარდა ამისა, ვერტმფრენებით ხორციელდება დღეში 40-მდე რეისი ქუთაისის მიმართულებით. თითოეული მათგანი გადაჰყავს 20-30 ადამიანს. ვერტმფრენები დაფრინავენ [illegible] უღელტეხილზე და ლტოლვილებს ეხმარებიან ჭუბერამდე მიღწევაში.

გასულ ღამეს ჭუბერში, კარვებსა თუ ღია ცის ქვეშ 10.000 ადამიანი იმყოფებოდა. უღელტეხილის იქით დარჩენილია დაახლოებით 6.000-7.000 ლტოლვილი. აფხაზეთის რეგიონს ტოვებს სვანი მოსახლეობაც.

მოსახლეობის ევაკუაციას, კვების პროდუქტებით, საწვავითა და ტანსაცმლით მათ მომარაგებას ხელს უშლის გზებზე ყაჩაღთა თარეში. გუშინ ჭუბერში იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ პაცაცია, რომელიც ხელმძღვანელობს ლტოლვილთა ევაკუაციას და მათ მომარაგებას.

ლანჩხუთი. 8 ოქტომბერს ტელეფონით დავუკავშირდით ლანჩხუთის გამგეობის თავმჯდომარეს ანზორ კილაძეს, რომელმაც განაცხადა, რომ რაიონში სიტუაციას აკონტროლებს სამთავრობო ჯარის შენაერთები, მე-11 ბრიგადის მებრძოლები, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მხედრიონის ნაწილები, შინაგანი ჯარი და ადგილობრივი პოლიცია.

7 ოქტომბერს ადგილი ჰქონდა შეტაკებას მალთაყვაში მდგომ ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის. თვითმხილველთა თქმით, ვახტანგ ქობალიას დაქვემდებარებული შენაერთების წარმომადგენლებმა — დაახლოებით 150-მა კაცმა 2 კმ-ით წაიწია ლანჩხუთის მიმართულებით. რასაც სამთავრობო ჯარების მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვა. რაიონის დამცველთა რიგებიდან დაიღუპა ორი და დაიჭრა 20-მდე მებრძოლი.

ბათუმი. 7 ოქტომბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში გაიმართა თათბირი, რომელზეც ასლან აბაშიძემ აღნიშნა, რომ ქუთაისის გამაგრების მიზნით გაიგზავნა მძიმე ტექნიკა. აჭარა სისტემატურად გაუწევს დახმარებას საქართველოს სამთავრობო ჯარებს. ა. აბაშიძეს მიაჩნია, რომ არსებული კონფლიქტის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მშვიდობიანი გზით.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საგანგებო წესების შემოღებასთან დაკავშირებით, სიტუაციის გაკონტროლება დაევალება ქალაქის მერს და რაიონის ხელმძღვანელობას.

მწვერვალიდან უფსკრულში დაშვების სიმწარე

(დასასრული)

გია, მაგრამ ხომ შესძლეს ჩეჩნების დარწმუნება იმაში, რომ ეს მათი ომიცაა. ჩვენ ეს ვერ შევძელით და ომი ენთუზიაზმზე შევაგდეთ, მხოლოდ იმ ბიჭების ამარად მივატოვეთ, ვისაც სამშობლოს გასაჭირი საკუთარ გასაჭირად მიაჩნდათ, ასეთნი კი ყველა ქვეყანაში პროცენტულად მცირენი არიან. აქედან გამომდინარე კი, ნურც იმ ოთხმოცდაათი პროცენტის შეფასებაში ვიჩქარებთ. პარადოქსია, მაგრამ ასეთი აზრიც მომისმენია ისტორიკოსებისგან, რომ საქართველო შეიძლება მოღალატეობამაც გადაარჩინოს, — რამდენად მისაღებია ეს აზრი, ეს სხვა საქმეა, მაგრამ რეალურობა მაინც ორმხრივია. იმან, რომ რაღაც ნაწილი ომში ვერ წავიდა, რომ რაღაც ნაწილი დარჩა, შეიძლება გენოფონდის მცირე პროცენტიც კი გადაარჩინა სამომავლოდ, ამ ცუდ ელასტიურობაში, რომელიც მორალისა და ეთიკის კრიტერიუმებს ვერ უძლებს შეიძლება ისტორიულად გაუცნობიერებელი თავდაცვის ისეთი ინსტიქტები დევს, რომელიც ძალაუნებურად არ მოგვცემს საშუალებას განიკითხო.

— დღეს საქართველოში გლობალური ღალატის მძაფრი სუნია, და მაინც საზოგადოება არ არის დარცხვენილი, თითოეული ჩვენგანი ამ ღალატსაც სხვის ღალატად, სხვის სირცხვილად თვლის, საკუთარ წილს მასში ვერ უშვებს. არადა ეს ასეა.

ბატონო რამაზ, როცა საზოგადოებისთვის ღალატი არ არის აღმაშფოთებელი, როცა როგორც მოღალატეს ხელს გადებენ და ამისი არ გრცხვენია, მე ვფიქრობ ეს ხაზში სიმპტომია იმისა, რომ მართლა ავადა ვართ...

— სუმბათაშვილ-იუჟინს აქვს გენიალური პიესა ღალატის დიალექტიკაზე, ძალიან მიკვირს, რომ ქართული რეჟისურა მას იშვიათად უბრუნდება. ამ ბოლო დროს მოვლენები ისე ვითარდება, რომ გეგონება ყველაფერი ამ დრამატურგის სცენარით მიდის, ეს პიესა იმითაა საინტერესო, რომ ღალატის დიალექტიკაზე აკეთებს აქცენტს, რომ ერთის ღალატი — მეორის ერთგულებაა, ამიტომ საქართველოში ეს ფენომენი უფრო რთული მოვლენა იყო, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

თქვენ დღევანდელ გლობალურ ღალატს საკუთარ ღალატად მიიჩნევთ, თუ ასე შევაფასებთ, ნებისმიერი გაუკეთებელი საქმე, რომლის გაკეთება შეიძლებოდა, ნებისმიერი სხვაგან გაყიდული იარაღი, ან იარაღი, რომელიც შინ იდო და მებრძოლებს წამალივით სჭირდებოდათ, ნებისმიერი ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც დანიშნულების ადგილამდე არ მივიდა, ისეთივე ღალატია, როგორც მთაში მომწყვდეული ლტოლვილებისათვის გზის გადაკეტვა, ან განსაცდელში მყოფი შენი სისხლისათვის დაუხმარებლობა საკუთარი ამბიციების გამო. თუკი ღალატს ამ პათოსით შემოვიტანთ ჩვენს სინამდვილეში, მართლაც ყველანი მოღალატეები აღმოვჩნდებით, გარდა იმ მცირე ნაწილისა, რომლისთვისაც სახელმწიფო პირადულზე მაღლა დგას, ასეთებიც არიან, ასეთი იყო ჟიული შარტავა, რომელსაც ჯაბა იოსელიანმა ბოდიში მოუხადა სიკვდილის მერე, — მაპატიე, რომ ისე არ ვფიქრობდი შენზე, როგორც თურმე უნდა მეფიქრა. — აი ასეთი მოულოდნელი, არასტანდარტული პიროვნებების ამარად გვაქვს მიტოვებული სახელმწიფოსადმი ერთგულება.

ამიტომ თქვენ ღალატს ასე ფართო გაგებით ვერ შემოიტანთ სინამდვილეში. სულით ავადმყოფობა, როცა ის მოსახლეობის დიდ ნაწილს ეუფლება, აღარაა სულით ავადმყოფობა, ის ნორმად იქცევა. ამიტომ თუ ინდიფერენტულობას ღალატის რანგში ავიყვანთ, მაშინ ტოტალური ღალატი შინაარსს ჰკარგავს: მოსახლეობა მთლიანად მოსახლეობის მსაჯული ვერ იქნება, მან შეიძლება დასაჯოს ერთი, ათი, ოცი, ასი, მაგრამ შეუძლებელია ოთხმა მილიონმა ერთი მილიონი დასაჯოს... ისევ იქ ვბრუნდებით, საიდანაც დავიწყეთ. თუ ის საზღვრები, რომლებიც საკუთარ სახლთან, ოჯახთან აქვს ქართველს გაიგივებული, არ გაფართოვდა, ომის გათავისება არ მოხდება. არც ღალატი უნდა აღვიქვათ რაღაც მოულოდნელ ეროვნულ უბედურებად. ასეა თუ ისე, ღალატი ყოველთვის იყო, სხვანაირად არც დავით აღმაშენებელს მოუხდებოდა ომში შესულთათვის ზურგის ჩახერგვა...

— თქვენ იდეოლოგია ახსენეთ, ამ სიტყვას ცოტა უნდობლად უყურებს საზოგადოება და არც თუ უსაფუძვლოდ...

ომი და ჩვენ

— მართალი ბრძანდებით, ჯერ კომუნისტმა და მერე ეროვნულმა იდეოლოგებმა გაცვითეს და გააუფასურეს ეს სიტყვა. მაგრამ ილია ჭავჭავაძეც ხომ თავისი მოღვაწეობით იდეოლოგიის შექმნას ემსახურებოდა. „მგზავრის წერილებიც" იდეოლოგიური ნაშრომია, მაგრამ მასზე ხომ არ გვაქვს იდეოლოგიის განცდა. — როცა იდეოლოგია ისე გეძლევა, რომ მას პროპაგანდად განიცდით, ამგვარად მოტანილი იდეოლოგია საჭირო არ არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იდეოლოგია ზოგადად არ გვჭირდება.

იდეოლოგია საზოგადოების მსოფლმხედველობაა და მას ხარისხიანი გაკეთება უნდა, პროფესიონალიზმი, ჭკუა და იმ საქმისადმი სიყვარული სჭირდება, რომელსაც ემსახურები, ჩვენ მიგვაჩნდა, რომ იდეოლოგიის არგაკეთებაა დემოკრატია. დემოკრატია, როგორც ყველაფრის, ისე იდეოლოგიის პროფესიონალური გაკეთებაა. ჩვენთან კი ის ყოველთვის არაპროფესიონალურად კეთდებოდა, ის რომ დღეს ფსიქოლოგებისა და სოციოლოგების უზარმაზარი არმია დაუსაქმებელია, ამის დასტურია. ამერიკულ ეკრანზე იშვიათად ნახავთ სახელმწიფო დროშის მიმართ უპატივცემულო მოპყრობას, ან პოლიცელს უარყოფითი გმირის როლში, ამერიკული პროდუქცია იდეოლოგიურად მუშაობს ამერიკული ცხოვრების წესზე და ამის შედეგიც ვიცით — მთელი ევროპა დღეს ამერიკული ცხოვრების წესისკენ ისწრაფვის.

— ბატონო რამაზ, მე მაინც ის ოთხმოცდაათი პროცენტი არ მასვენებს, ვინც ვერ ან არ იომა, მე არ მინდა დავუშვა, რომ ეს იყო სიმხდალის გამო, მით უმეტეს ვხედავ, რომ მათ შორის ბევრი ვაჟკაცია, მათ უმეტესობას დღეს რაღაცნაირი სულიერი დეპრესია გამოხატა სწორედ იმის გამო, რომ ვერ იომა. შეიძლება თუ არა ამ მოვლენას ფსიქოლოგიური ახსნა-გამართლება მოვუძებნოთ და შეიძლება თუ არა ანალოგიურ სიტუაციაში მათი სულიერი დეპრესიის იმედი გვქონდეს?

— გამართლება ომში არ წასვლას ალბათ აქვს. ადამიანები ხომ ომს სხვადასხვაგვარად ღებულობენ. არსებობს კატეგორია (ომში არ წასულთა), რომელსაც მიაჩნია, რომ იქ მისი ადგილი არ არის, რომ ის აქ იბრძვის, სადაც არის, მეორენი თვლიან, რომ ომში ისინი ხელისშემშლელნი იქნებიან მხოლოდ (არაპროფესიონალიზმის კომპლექსი), და ა. შ. საერთოდ კაცებს ქალები აკეთებენ, და პირიქით. თუ კაცმა ქალს ქალობა არ აგრძნობინა, — ქალურობა იკარგება, ასევე, თუ ქალმა მამაკაცს ვაჟკაცობა არ მოსთხოვა, კაცობა ჩაქრება. ეტყობა, მორალური წნეხი აქაც მოქმედებს. ისტორიულად ასე იყო, ომი იყო და კაცი ომში მიდიოდა, დედას და ცოლს ხმალ-ხანჯალი გამოჰქონდა და გადასცემდა მას, ეს მოიშალა. მაშ, რას სთხოვს დღევანდელი ქართველი ქალი კაცისგან, — ოჯახის კეთილდღეობას, საკუთარ კეთილდღეობას და აი, ის 90 პროცენტიც აქ არის ჩარჩენილი. საქართველოში კაცზე ისეთი გავლენა, როგორიც ქალს, არავის არა აქვს. კაცის თავმოყვარეობას ქალი განსაზღვრავს. პრაქტიკულად ქალის გადასაწყვეტია მომავალი ომის ბედი... თქვენ მკითხეთ, ღალატის მექანიზმს რა მოვუხერხოთო, ზემოთ ვერ ვთქვი, რადგან ქალი მეჯდა წინ და რაკი თქვენ წამოიწყეთ, გავთამამდი, —. აბა ქალმა შეარცხვინოს მამაკაცის ღალატი, აბა ქალისთვის იყოს სირცხვილი ის, რომ მისი ქმარი საომრად არ მიდის.

კაცის შემართებას ქალი განაპირობებს. ის მიკროსამყარო, რომელშიც ეს კაცი არსებობს. ყველაზე ვიწრო წრე ინტიმია, რომელიც კაცსა აქვს და რომელსაც მისი თავმოყვარეობა ეყრდნობა. ამიტომაა ქართველ ქალზე დამოკიდებული, როგორი იქნება ხვალ ბრძოლის ველზე მამაკაცი.

თუ ისტორიას ჩავხედავთ, მოულოდნელი არაფერი მომხდარა, ის კი არა და, არც კი მეგონა თუ ამდენი შევძლო, ამ ეკონომიკური გაჭირვების ფონზე შევძლებით ქაოსში არ გადავვარდნილიყავით, ომი მიგვეღო, ფსიქოლოგიურად არ დავშლილიყავით. ის, რომ პოლიტიკოსებმა დაანაწილეს საქართველო, არ ნიშნავს, რომ ფსიქოლოგიურადაც დავიშალეთ. დღეს ყველას ერთნაირად სცხვენია საქართველოს დაშლის პროპაგანდისა, ეს ახალი მოვლენაა, ისტორიულად ჩვენ ასეთი მომენტი არ გვქონია. და ის, რომ დღეს საქართველო ფსიქოლოგიურად ერთიანია, — დიდი იმედის საფუძველია, ასეთი განწყობის საზოგადოება საშუალებას არავის მისცემს საქართველო საბოლოოდ დააქუცმაცოს.

ესაუბრა
ფერიდე ბიწაძე.

ხსოვნა

ნოდარ ადეიშვილი

ქართველ მშენებელთა რიგებს გამოაკლდა გამოცდილი სპეციალისტი **ნოდარ შალვას ძე ადეიშვილი.** დაიბადა 1934 წელს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის სამშენებლო ორგანიზაციებში. ჩამოყალიბების დღიდან სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაშია — მუშაობდა სამშენებლო მასალების კომბინატის დირექტორად, ინდუსტრიის ტრესტისა და № 1 სამშენებლო ტრესტის მმართველად.

1987 წლიდან ნოდარ ადეიშვილი ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის, შემდგომ კი მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციას და თავის მდიდარ გამოცდილებას ახმარს სამრეწველო ობიექტების რეკონსტრუქციასა და ახალი ობიექტების მშენებლობას.

აღიარებული პროფესიონალის, სპეტაკი, გულწრფელი და გულთბილი ურთიერთობების ადამიანის ნოდარ ადეიშვილის უეცარმა გარდაცვალებამ დიდი მწუხარება და ტკივილი მოუტანა მის ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებსა და მრავალრიცხოვან მეგობრებს.

საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრო; საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი; კონცერნი „საქსოფლმშენი".

რობერტ სამქანაშვილი

ჩვენს რიგებს გამოაკლდა ერთ-ერთი საუკეთესო მებრძოლი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სამმართველოს სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის ოფიცერი **რობერტ გიორგის ძე სამქანაშვილი.**

რობერტ სამქანაშვილი დაიბადა 1970 წლის 25 ივნისს ქ. ვლადიკავკაზში. ვინ წარმოიდგენდა, რომ 23 წლის ვაჟკაცს, არაერთგზის ნაომარს, ჭუბერში, სამშვიდობოს გამოღწეულს, დაეწეოდა ექსპრეზიდენტის მომხრეთა ბანდიტური ტყვია.

ქვედანაყოფში რობერტი, მეტსახელად „მალიშა", გამოირჩეოდა თავმდაბლობით, როგორც ეს ჩვეულია მაღალი ზნეობის ადამიანს. იგი მშვიდად და გარეგნულად აუღელვებლად ასრულებდა დაკისრებულ საბრძოლო დავალებებს.

მისი ერთადერთი შვილი, რომელიც მალე გაჩნდება ქვეყანაზე, აუცილებლად იამაყებს სახელოვანი მამით.

როდემდე უნდა ილუპებოდნენ საქართველოში მისი ერთგული და წესიერი, ღირსეული შვილები, ხოლო ნაძირალები ქვეყანას აქცევდნენ?! როდემდე?!

ღმერთო ნათელში ამყოფე რობერტის წმინდა სული და გადაარჩინე საქართველო!

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სამმართველოს კოლექტივი.

დათო ხუციშვილი

სვანეთში ლტოლვილთა დახმარებისას ტრაგიკულად შეწყდა საქართველოს საგამყოლო სამსახურის გამყოლის **დათო ხუციშვილის** სიცოცხლე.

დათო ხუციშვილი, როგორც პროფესიონალი მთამსვლელი და მაშველი, მონაწილეობდა ყველა იმ სამაშველო ოპერაციებში, რომელიც ამ ბოლო წლებში წარმოებდა საქართველოსა და კავკასიაში. იგი ყოველთვის მზად იყო გზა გაეკვლია გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანთათვის, ამ საქმეს დათო აკეთებდა პროფესიონალურად, დინჯად და კეთილსინდისიერად. დათო იყო კაცი, რომელსაც დაეყრდნობოდი, რომლის იმედი ყოველთვის გქონდა და რომელიც მზად იყო ყველაფერი გაეღო მეგობრისა და მოყვარისათვის.

დათო ხუციშვილი მტრის ტყვიას არ მოუკლავს, მაგრამ მას სვანეთის მთებში მისწვდა ომის ტალღა — დაიღუპა მოყვალეობის შესრულების დროს, აფხაზეთიდან ლტოლვილთა გადასარჩენად წასული, ვერტმფრენის კატასტროფისას.

თანავუგრძნობთ მის ლამაზ ოჯახს, მის შვილებს, რომლებზედაც იგი ახე ზრუნავდა.

მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს მიწა, რომლის საკეთილდღეოდაც სიცოცხლე არ ეშურებოდა.

გვინდა ასევე პატივისცემით მოვიხსენიოთ და სამძიმარი ვუთხრათ იმ მფრინავთა ოჯახებსა და მეგობრებს, რომლებიც ამ კატასტროფამ იმსხვერპლა.

ღმერთმა გაანათლოს **იგორ ბახტაძის, სერგეი პლატონოვის** და **ლევან ჩოგოშვილის** სახელები. მათ პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე.

საქართველო არ დაივიწყებს მისთვის დაღუპულ ვაჟკაცთა სახელებს.

საქართველოს საგამყოლო სამსახური, საქართველოს ალპინიზმისა და მეკლდეურობის ასოციაცია.

საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რ/გ „საქუნივერსალის" გენერალური დირექტორი

ჯონი გიორგის ძე ურუშაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვება
შოთა ინწკირველი

ძველი ნეტარი დრო

(მცირე მოგონება)

1947 წლის ოქტომბერია. ერთი თვეა თბილისში ჩამოვედი. ამ ხანში ორ შეჯიბრებაში მივიღე მონაწილეობა. ჯერ ოზურგეთის სახელით „სპარტაკის" საქართველოს პირველობაზე ვითამაშე, ხოლო შემდეგ, როგორც „სპარტაკის" გუნდის წევრმა, — თბილისის გუნდურ პირველობაზე, სადაც პირველთანრიგოსნებთან (მათ შორის, მაშინ უკვე რესპუბლიკის ერთ-ერთ ძლიერ მოჭადრაკე ალექსანდრე ბუსლაევთან) გამართული შვიდი შეხვედრიდან შვიდი ქულა მოვაგროვე, რითაც არათუ პირველი თანრიგი, ოსტატობის კანდიდატობის ბალის ნორმასაც გადავაჭარბე. წინათ ჩვენთან საკანდიდატო ბალის ნორმის შესრულება ასეთ ასაკში კი არა (24 ნოემბერს მისრულდებოდა 18 წელი), ისედაც დიდი იშვიათობა იყო. არათუ პირველთანრიგოსნებთან — მოსწავლეთა შორის საქართველოს პირველობაზე (ტარდება 1948 წლიდან) თამაშის გამოცდილებაც კი არ მქონდა.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ იმ წლებში ჩვენთან ორიოდე წამყვანი მოჭადრაკე თუ ეკიდებოდა ჭადრაკის თეორიის შესწავლას და სატურნირო პარტიას ისეთი პასუხისმგებლობით, როგორც ბუსლაევი. მას კარგი მეხსიერება, თხრობის კულტურა, იუმორის გრძნობა და იმიტაციის ნიჭი ჰქონდა. მეექვსე, ბოლოსწინა ტურში შევხვდი. ამ დროისათვის მე ხუთი, ხოლო მას ოთხი ქულა ჰქონდა.

ბუსლაევი-ინწკირველი. ნიმცოვიჩის დაცვა. თბილისი, 1947 წელი. 15 ღვინობისთვე. 1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 კb4 4. ლc2 0-0 5. e4 d6! 6. მf3 მc6 7. e5 de 8. de მg4! ეს კომბინაციური გაგრძელება ეკუთვნის ოსტატ აბრამ რაბინოვიჩს (1879-1943). ბუსლაევმა შემომთავაზა სიახლე: 9. კd3!? მge5!? ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გამოწვევა მივიღე: მეფის საფარის დასუსტების ფასად მოვსპე ცენტრალური პაიკი. ახლა ბრძოლა ზედმიწევნით მწვავდება. 10. კh7 მეფh8 11. კe4 მd4 12. მd4 ლd4 13. 0-0 f5 14. ეd1 ლc4 15. კd3 ლh4 16. კe2 კc5 17. g3 კf2!! (პირველი მოულოდნელობა! ირკვევა, რომ შეწირვის მიღება სახიფათოა: 18. მეფf2 ლh2 19. მეფf1 მg4 20. კd3 ლh1 21. მეფe2 ლg2 22. მეფe1 ლg1 23. კf1 ლg3 24. მეფe2 ლf2 25. მეფd3 მe5X), 18. მეფg2 ლh7 19. კf4 მg6 20. კc7 e5!! მეორე მოულოდნელობა! ჩანს, კარგად ვგრძნობდი პოზიციის რიტმს, დინამიკას. მეტად მნიშვნელოვანია, რომ იმ წლებში უყოყმანოდ, ხალისითა და ერთგვარი აზარტითაც კი მივდიოდი ყველაფერზე, რაც მომწონდა! (გავლის სულ რაღაც ორი თუ სამი თვე და ყოველივე ამისაგან მოგონებაღა დარჩება!) ფიგურის შეწირვისა და, საერთოდ, ამ წამოწყების უარყოფაც რომ არსებობდეს, მე მაინც მეამაყება ამ პარტიის გახსენება. მით უმეტეს, მეტოქე ჩემი თანატოლი და იმ დროისათვის უკვე გამოცდილი, ძლიერი და ცნობილი მოჭადრაკე იყო. 21. h4?! f4! (უკვე კარსმომდგარი ორმხრივი მწვავე ცაიტნოტში, ეს სვლა, რომელიც 22. ... მh4! მუქარას ქმნის, 22. კd3 პასუხის გამო მცდარად გამოიყურება, სინამდვილეში კი ბრძოლის დამაგვირგვინებელ კომბინაციურ დარტყმას ამზადებს) 22. კd3 კg3! ამ შავუჯროვანმა კუმ, რომელიც ხუთი სვლის განმავლობაში მუქარის ქვეშ იდგა, მეტად საინტერესო დრეიფი განახორციელა (კf8-b4-c5-f2!!-g3!) და ფაქტობრივად თეთრების მეფის ფრთის განადგურება გამოიწვია. 23. კg6 (იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თეთრებმა სიძნელეებს თავი დააღწიეს: 23. ... ლh6 24. კh1 და არ შეიძლება 24. ... კh4, 25. ეh4!-ის გამო) 23. ... კh3!! (მესამე მოულოდნელობა! თუ ახლა 24. მეფh3, მაშინ 24. ... ლh4 25. მეფg2 f3 26. მეფg1 ლh3) 24. მეფf3 ლh4 25. კd3 ლg4 26. მეფe4 f3 27. მეფd5 ლd4X.

ინწკირველი („სპარტაკი")



ბუსლაევი („ნაუკა")

უდავოა, ამ პარტიაში ბუსლაევმა ვერ გაუძლო დაძაბულობას, რის გამოც სრულად ვერ გამოავლინა თავისი ძალა. ეს კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ჭადრაკის თამაში მარტო ტექნიკური ილეთების კომპლექსი როდია, არამედ აზრის, გრძნობისა და ნებისყოფის ფსიქიკური აქტიც. როგორც ახლა ვფიქრობ, ეს შეხვედრა ბუსლაევს ფსიქოლოგიურად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა: თბილისის საჭადრაკო კერაში გაზრდილი, მცოდნე და გამოცდილი მებრძოლი, უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი, თბილისელ ჭაბუკ მოჭადრაკეთა აღიარებული ლიდერი, ხვდება პროვინციელ, სრულიად უცნობ, ასაკით თავის ტოლ მეტოქეს, რომელმაც ჯერჯერობით ყველა ხუთი პარტია მოიგო და რომელსაც იგი ერთი ქულით ჩამორჩება...

ვიმეორებ, ყოველივე ამაზე ახლა ვფიქრობ, მაშინ მთელი შეჯიბრების მანძილზე ცხრილიც კი არ მომგონებია, რათა გამეგო გუნდის ან პირადი მეტოქეების სატურნირო მდგომარეობა, ან ის, თუ რა დებიუტებს თამაშობდნენ. ასეთი მასშტაბის შეჯიბრში, სადაც ფაქტობრივად საქართველოს ყველა უძლიერეს მოჭადრაკეს მოეყარა თავი, პირველად ვმონაწილეობდი. ეტყობა, საჭადრაკო ბრძოლის განცდებმა შემიპყრო. ასეთი განწყობილება უთუოდ ამძაფრებდა ჩემს თანდაყოლილ ალღოსა და ინტუიციას (გუმანით ვგრძნობდი ბრძოლის მსვლელობას და პერსპექტივას). უდავოა, ეს დაუპირისპირდა მცოდნე და გამოცდილ ბუსლაევის თუ სხვათა საჭადრაკო გაგებას და ხედვას. ჩემი, ეს და სხვა კიდევ უფრო რთული და აუხსნელი ფაქტები ჭადრაკსა და ცხოვრებაში, ძალაუნებურად მაფიქრებინებს მათ მისტიკურობაზე.

ბუსლაევთან პარტიის დაწყების წინ „სპარტაკის" წარმომადგენელმა იაკობ ხარაშმა მეტოქეებს გვითხრა: **„Встреча лидеров".** კარგად მახსოვს, ამ სიტყვებმა დადებითად იმოქმედა ჩემზე. მართალია, სტიმულსა და შთაგონებას არ ვსაჭიროებდი, ისედაც მობილიზებული და შემართული ვიყავი, მაგრამ ხარაშის სიტყვებმა როგორღაც გამახალისა. ვიგონებ რა იმ შორეულ წლებს, არ შემიძლია კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიო მოჭადრაკე, „სპარტაკის" ღვაწლმოსილი მუშაკი, ებრაელი კაცი იაკობ ხარაში, რომელმაც „სპარტაკის" ჩემპიონატის მეოთხე თუ მეხუთე ტურის წინ ორიოდე თბილი სიტყვა მითხრა: **„Мы беседовали о Вас.** შენ ნიჭიერი", ხოლო შემდეგ გუნდში უშუალოდ ლიდერების (ფალავანდიშვილი, ალამალიანი, არუთინიანი) გვერდით დამსვა, როგორც ზემოთ ვნახეთ, იმედი გავუმართლე.

1950 წელს ჩემთვის მეტად მნიშვნელოვან საქმეში მხარი დამიჭირა საქართველოს სპორტკომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ბატონმა ალექსანდრე ფარულავამ.

1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის მეექვსე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი გაიმართა 1993 წლის 30 სექტემბერს ქ. თბილისის კრწანისის რაიონში. მოგება ხვდა შემდეგი ნომრებისა და სერიის ობლიგაციებს

№№ სერიის	№№ ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში	№№ სერიის	№№ ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში	№№ სერიის	№№ ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში
00127	006X	100000	08678	1-40	75000	15975	028X	100000
00404	025X	100000	06797	031X	100000	16051	1-40	50000
00521	039X	250000	09051	035X	100000	16096	018X	100000
00632	015X	100000	09143	021X	100000	16136	032X	250000
00675	1-40	75000	09161	1-40	50000	16605	1-40	75000
00727	1-40	50000	09318	008X	1000000	16738	014X	250000
00955	018X	100000	09329	014X	500000	16804	030X	250000
01398	022X	100000	09516	033X	250000	16972	034X	100000
01566	037X	100000	09654	1-40	10000	17047	1-40	75000
01619	029X	100000	09661	006X	100000	17131	036X	100000
01944	1-40	50000	09663	032X	100000	17261	1-40	75000
02406	025X	250000	10494	033X	100000	17613	1-40	75000
02620	031X	100000	10473	011X	100000	18273	011X	250000
02956	022X	250000	10555	1-40	75000	18776	002X	100000
03204	010X	100000	10665	026X	250000	18906	004X	75000
03512	1-40	10000	10921	031X	250000	19053	037X	250000
03863	1-40	75000	10928	037X	100000	19245	1-40	50000
03678	007X	100000	11548	021X	100000	19688	005X	100000
04006	014X	100000	11692	002X	100000	19893	008X	250000
04079	032X	100000	12208	030X	100000	19895	1-40	50000
04388	009X	100000	12787	006X	500000	19961	030X	250000
04829	001X	100000	12881	024X	75000	20229	009X	250000
04906	006X	100000	13010	003X	250000	20959	022X	250000
04945	040X	100000	13011	032X	100000	20994	1-40	50000
04946	009X	100000	13209	023X	500000	21536	021X	100000
05591	013X	250000	13793	024X	100000	21614	014X	100000
05674	1-40	75000	14004	011X	100000	21707	027X	100000
05834	037X	50000	14391	036X	250000	23045	019X	100000
06178	1-40	50000	14478	028X	100000	23068	009X	100000
06943	011X	100000	14528	004X	100000	23189	017X	100000
06950	018X	100000	14734	010X	100000	23346	027X	250000
06967	1-40	50000	15012	016X	500000	23845	024X	100000
07421	1-40	50000	15052	023X	100000	24355	1-40	50000
07567	024X	500000	15490	031X	100000	24403	034X	250000
07597	028X	250000	15530	1-40	50000	24521	1-40	50000
07639	003X	100000	15668	1-40	50000	24572	029X	100000
08204	033X	100000	15796	026X	100000			

*** ობლიგაციის ამ სერიის ყველა დანარჩენ 39 ნომერს მოგება ხვდა — 10.000 კუპონი.**

ცხრილში მოცემულია მოგებები 5000 კუპონიან ობლიგაციებზე.

თუ მოგება ხვდა 10000 კუპონიან ობლიგაციის ერთ ნომერს, მასზე მოგება გაიცემა **ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად.**

მაგალითად, თუ ობლიგაციამ მოიგო 1000000, 500000, 250000, 100000, 75000, 50000, 10000 კუპონი, მასზე შესაბამისად გაიცემა 1010000, 510000, 260000, 110000, 85000, 60000, 20000 კუპონი.

1000 კუპონიანი ობლიგაციის მოგების შემთხვევაში გაიცემა მოგების მეხუთედი ნაწილი.

მაგალითად, თუ ობლიგაციამ მოიგო 1000000, 500000, 250000, 100000, 75000, 50000, 10000 კუპონი — შესაბამისად გაიცემა 200000, 100000, 50000, 20000, 15000, 10000, 2000 კუპონი.

მოგების თანხაში ჩათვლილია მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვითაც შემნახველი ბანკის დაწესებულებები აწარმოებენ მოგებების გაცემას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

კომისიის თავმჯდომარე — კრწანისის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე
თ. მამაცარიანი.

თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საფინანსო მექანიზმის სრულყოფის, ფასებისა და ფულის მიმოქცევის მთავარი სპეციალისტი
ა. მუჯირიშვილი.

თავმჯდომარის მოადგილე — კრწანისის რაიონის საფინანსო განყოფილების უფროსი
დ. ციხამინჯია.

პასუხისმგებელი მდივანი — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის დეპოზიტის, ანაბრების და უნაღდო-ანგარიშსწორების სამმართველოს მთავარი ეკონომისტი გ. კურტანიძე.

მოსალოდნელია ნამდვილი შემოდგომის ამინდი

მომავალი კვირისათვის ამინდი განსაკუთრებულ სიურპრიზებს არ გვიმზადებს. როგორც გასულ კვირას, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მხოლოდ ალაგ-ალაგ, ისიც — ცალკეულ დღეებში, მოსალოდნელია უმნიშვნელო წვიმები, დასავლეთ საქართველოს რაიონებში კი დაუბერავს ქარი, რომლის სიჩქარე წამში 9-14 მეტრს არ აღემატება. დაბლობ რაიონებში ყველგან შედარებით დათბება. ასეთია რესპუბლიკის სინოპტიკოსების მიერ შედგენილი ამინდის პროგნოზი.

— კოლხეთის დაბლობში კვირის პირველ დღეებში ნალექები არ არის მოსალოდნელი, — თქვა საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზის განყოფილების წამყვანმა ინჟინერმა მარიამ ალექსიშვილმა. — ნალექები მოვა კვირის მეორე ნახევარში, ისიც, მხოლოდ ალაგ-ალაგ. დღისით ჰაერის ტემპერატურა 20-25 გრადუსს მიაღწევს. ერთი გრადუსი ყინვა ღამ-ღამობით მოსალოდნელია მხოლოდ მაღალმთიან რაიონებში.

მომავალი კვირის ცალკეულ დღეებში აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში თითქმის ყველგან მოსალოდნელია უმნიშვნელო წვიმები. მაგრამ, წვიმიანი ამინდი განსაკუთრებულ გავლენას ვერ მოახდენს ჰაერის ტემპერატურაზე. თერმომეტრის სვეტი იქ უჩვენებს პლუს 15-20 გრადუსს. ცალკეულ დღეებში კი ჰაერის ტემპერატურამ შეიძლება 22 გრადუსსაც მიაღწიოს. მთებში ღამით მოსალოდნელია სამ გრადუსამდე ყინვა.

დღისით შუა მთიანეთში ჰაერის ტემპერატურა 15 გრადუს სითბოს არ გადააჭარბებს, მაღალმთიან რაიონებში კი — პლუს 10 გრადუსს.

კოტე ცხომელიძე.

TBC Bank

აწარმოებს კერძო და იურიდიული პირებისაგან ანაბრების მიღებას შემდეგი პირობებით:

ნაღდი ანგარიშსწორებით მინიმუმ – 50000 კუპონი.
3 თვით – 36%
6 თვით – 90%
9 თვით – 162%
12 თვით – 240%
კლიენტის სურვილის მიხედვით თვიური დივიდენდის გაცემა მოხდება ყოველთვიურად.

უნაღდო ანგარიშსწორებით მინიმუმ – 500000 კუპონი.
6 თვით – 60%
9 თვით – 108%
12 თვით – 168%

TBC — ბანკის მისამართია:
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №11,
ტელ: 22-06-61, 22-04-06.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА